წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 8 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 162

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი [illegible] გვერდზე პეტიტის [illegible] უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.



## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ქრისტეშობისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 80 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

ოთხშაბათს 9 ქრისტეშობისთვეს 1915 წ.

ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ ვიქტორ გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა

# მსხვერპლი

პიესას დასდგამს ალ. წუწუნავა.

II

# რაც არ მერგება არ შემერგება

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ., აბაშიძე ვასო, გუნია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ა., იმედაშვილი ალ., იმნაიშვილი გიორ., მგალობლიშვილი, მამფორია ილ., უივიძე, იოსებ. სარაული, კ. რომანიშვილი.

ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 9 ს.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრ. ქართული დრამატიული საზოგადოება.

მორიგი წევრი გამგეობისა დ. დუმბაძე.

შემდეგი წარმოდგენა ორშაბათს, 21 ქრისტეშობისვეს მზადდება „იუდას მემკვიდრე“, „პატიოსნება“ და „ოტელო“ და სხ.

(3—13—2)

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილოს

# „პეტროგრად“-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

## ევროპიული და აზიური საჭმელები

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.

25—25

## გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

## ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

თბილისის უმაღლეს ქალთა კურსების მსმენელი ქალი

## ეძებს გაკვეთილს,

ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. მისამართი იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.

(15—11—8)

„წითრის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

## სასტუმრო „ჯუგაანი“

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით

15—14 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

## სტუდენტი-ფილოლოგი

პეტროგრადის უნივერსიტეტისა

ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.

საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.

პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.

(15—3)


# ომის ამბები

## ომის დეპეშები

6 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი,** დასავლეთის ასპარეზი. რიგის მახლობლად რაგგატისა და ანტინგის მიმართულებით გერმანელთა მოწინავე რაზმები ზვერავდნენ პოზიციებს. მაგრამ სროლით უკანვე ვაბრუნდით. დვინსკის ჩრდილო-დასავლეთით სოფ. მიშტეისა და სარკანის რაიონებში ჩვენი არტილერია მარჯვედ ესროდა მტრის რაზმებს. დანარჩენს ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ფრონტი.** ხისტასპორის რაიონში, არდანუჯის სამხრეთ-დასავლეთით რუსთა საკეთილოდ მიდის მოწინავე რაზმთა შეტაკება. ქამადანის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსები ავიწროებენ მტერს.

**პეტროგრადი,** 6 ქრისტეშობისთვე. დასავლეთის ასპარეზი. მიაძიოლას ტბის ჩრდილოეთით გერმანელთა მწკრივი რაზმები გავფანტეთ. 4 ქრისტეშობისთვეს დილის ათ საათზე მტერი ორჯელ შეეცადა იერიშით წამოსვლას, მაგრამ ორჯელვე უკუვაგდეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** სოუჯ-ბულაღის ქურთთა სოფლების მეთაურებმა მორჩილება გამოაცხადეს. სპარსეთში კრეშვენისა თეირანისა და ქამადანის შუა რუსებმა მოიგერეს მტრის საგრძნობელი იერიშები.

---

**სპარსეთში.**

**ქამადანი.** 4 ქრისტეშობისთვეს ყაზვინიდან გუშინ მოვიდა საექსპედიციო კორპუსის კომანდირი. მას მხურვალედ შეხვდა ადგილობრივი მთავრობა და სასულიერო წოდება, სახალხო ჰიმნის დროს დიდის ამბით ამართეს საკონსულო რუსის დროშა, რომელიც 9 გიორგობისთვეს ჩამოუშვეს. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებზე.

**ბალკანეთში.**

**ლონდონი,** 4 ქრისტეშობისთვე. „ტაიმს“ ატყობინებენ ათინიდან, გერმანელთა ელჩმა განუცხადა საბერძნეთის მთავრობას, შესაძლებელია ავსტრო-გერმანელებმა ომი საბერძნეთის ტერიტორიაზე გადმოიტანოს, რათა აქედან განდევნონ მოკავშირეთა ჯარებიო. სკუდულისმა უპასუხა: საბერძნეთი არასოდეს ნებას არ დართავს მის ტერიტორიაზე ბულგარებმა ფეხი შესდგანო. სამინისტრო ორგანო „ემბროსი“ ამტკიცებს, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს პროტესტი განაცხადოს სოლუნის გამაგრების გამო: ეს დათმობის ყოველგვარ საზღვარს სცილდებაო.

**სოლუნი,** 4 ქრისტეშობისთვე. მაკედონიაში სრული სიწყნარე იყო გუშინ. ავსტრო-გერმანელ-ბულგართა ჯარები საზღვართან შეჩერდნენ და მთელ ძალებს იკრებენ ბრძოლის გასაგრძელებლად. მოკავშირენი სოლუნში მაგრდებიან, მაშველი ჯარები მოსდით. ნავთსადგურში მოვიდა რუსის კრეისერი „ასკოლდი“ და სამგზავრო ხომალდი „ოდესა“.

**ათინა,** 4 ქრისტეშობისთვე. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ფრანგთა წყალქვეშა „ტიკრკუაზი“, რომელიც ოსმალებმა დაატყვევეს, ფრანგებმავე ჩასძირეს, რადგანაც ფრანგი მეზღვაურები აიძულეს, ნავი ატარეთ ჩვენს ნებაზეო. მთელი ეკიპაჟი დაიღუპა სახელოვან ფრანგ მეზღვაურებთან ერთად.

**ცეტინიე,** 4 ქრისტეშ. „პრეს-ბიურო“ იუწყება, გუშინ მთელს ფრონტზე მტერმა იერიში მიიტანა. ჩვენს ჯარებს ებრძანათ უკან დაეხიათ ახალს თავდაცვის ხაზზე.

**პარიზი,** 6 ქრისტეშობ. მეფე ალბერტმა გადასწყვიტა უპორტფელო მინისტრებად დანიშნოს სოციალისტი ვანდერველდე და მემარცხენეების ლიდერი, ალბიელი და ჰეიმანსი. მათ უფლება ენიჭებათ მინისტრთა საბჭოში მიიღონ მონაწილეობა.

**კოპენჰაგენი,** 6 ქრისტეშობისთვე. ამერიკელ-ჰოლანდიელთა ამხანაგობამ ინგლისს მიჰყიდა „ლუზიტანიის“ სამაგიერო გემი „სტატენდამი“. ამ ამბავმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანეთში.

**პარიზი,** 5 ქრისტეშობ. სომისა და უაზის შუა ჩვენ მკაცრი სროლა აუტეხეთ გერმანელთა თხრილებს. ერთმა ჩვენმა მზვერავმა გერმანელთა ერთი მზვერავი დაიჭირა. სუანსონსა და რეიმსის შუა გაჩაღებული სროლაა. შამპანში გავფანტეთ მტრის მუშები.

აღმოსავლეთი ფრონტი. არსებითი ცვლილება არ მომხდარა. არც ერთ მტრის ნაწილს საბერძნეთის საზღვარზე არ გადმოუბიჯიათ ფეხი. სოლუნში მოკავშირენი მაგრდებიან... დარდანელში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი,** 5 ქრისტეშობ. დღისით ჯანღი იდგა. არტილერიის მოქმედება შეუძლებელი იყო. მთელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**კოპენჰაგენი,** 6 ქრისტეშობისთვე. ბერლინიდან ოფიციალად იუწყებიან, რომ 4 ქრისტეშობისთვეს პატარა კრეისერი „ბრემენი“ ბალტიის ზღვაში დაიღუპა ინგლისელთა წყალქვეშას მიერ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბალკანეთში.**

**რუმინეთის გულისთქმა.**

უკანასკნელ ხანს რიგა-დვინსკის და საერთოდ რუსეთის დასავლეთის ასპარეზზე საომარი მოქმედება თითქოს მიყუჩდა. მაგრამ როგორც სჩანს, ეს მხოლოდ ქარტეხილის წინ მინაბულ სტიქიონს ემსგავსება, რომელიც ან აქ ან იქ ამოვარდება საშინელის ძლიერებით და წინ ამართულ კედელს ნაცარმტვრად აქცევს.

გერმანელების ჯარი, რომელსაც მაკენზენი ჰხელმძღვანელობს, ბალკანეთში საქმის მოთავების შემდეგ, როგორც სჩანს რუმინეთის მიჯნებს არა სცილდება.

რუმინეთის პირველ მინისტრად ნამყოფს პეტრე კარპს (გერმანელთა მოხრეს) ერთი ჟურნალისტისათვის უთქვამს: რუმინეთის გულისთქმა ამ ცოტა ხანში გამომჟღავნდება. რა წამს გერმანეთი ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდება ბერლინ-ნიშ-სტამბოლის გზისა, იგი უეჭველად რუმინეთს მოსთხოვს მიმხრობას. ეს მოთხოვნა ულტიმატუმის სახით წარედგინება რუმინეთს და პასუხისათვის 48 საათი მიეცემა. ამ დრომდე ბრატიანუ გადადგება და პრემიერად ისევ მას (კარპს) მიიწვევენ.

მარგილომანმა რუმინეთის მეფეს მოხსენება წარუდგინა: რუმინეთი დაუყოვნებლივ გერმანელებს უნდა მიემხროსო.

ბერლინის გაზეთებიც გაკვრით ამბობენ, ეს საქმე გადაწყვეტილიაო.

**სალონიკის ალყა.**

დაბეჯითებით ამბობენ, ბულგარეთი საბერძნეთის მიწა-წყალს გადალახავს და სალონიკს ალყას შემოარტყამსო.

**სერბეთიდან გახიზნულნი.**

სერბეთიდან გახიზნული ათი ათასი სერბიელი, როგორც ამბობენ, სიცილიის კუნძულზე და სამხრეთ საფრანგეთში დაბინავდებიან.

**საბერძნეთი და ბულგარეთ-ოსმალეთი**

საბერძნეთს ბულგარეთ-გერმანეთისათვის უთხოვნია: ოღონდ საბერძნეთის საზღვრებს ნუ გადმოლახავთ და მე თვითონ ვეცდები, მოკავშირეები მალე გავისტუმრო სალონიკიდანაო.

**მონასტირი ავსტრეთისაა.**

დანამდვილებით ამბობენ, რომ გერმანელთა რჩევით, ბულგარეთმა მონასტირი ავსტრიას დაუთმოვო.

**გერმანელები სტამბოლში.**

„ტაიმსის“ ცნობით გერმანელებს 15 იანვრამდე სტამბოლში ეყოლებათ 4 კორპუსი. თებერვალში ამ ჯარს ოსმალოთა 350 ათასიც მიემატება და სირიაში დაიწყება საომარი მოქმედება.

სხვა გაზეთების აზრით, გერმანელების სამოქმედო ასპარეზი ბალკანეთს არ გასცილდება.

**შავ ზღვაზე.**

„ბრესლაუ“ შეუკეთებიათ და შავ ზღვაში დასცურავს.

**საფრანგეთის ასპარეზზე.**

ამ სამი კვირის განმავლობაში გერმანელებს ლუქსემბურგის გზით დასავლეთის ასპარეზისაკენ დიდძალი ჯარი გადაჰყავთ.

ამბობენ ამ ასპარეზზე დიდ შეტევას უნდა ველოდოთო.

**ახალი ლიანდაგი.**

გერმანელებს სწრაფად გაჰყავთ რკინის გზა ვარშავიდან დანცინგამდე.

**ინგლისში.**

ლონდონის გაზეთების ცნობით, ინგლისში ძალიან უხალისოდ ეწერება ჯარისკაცებად უცოლშვილო ახალგაზდობა. ამის გამო ასკვიტს საჭიროდ მიაჩნია სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღება.

**იტალეთის ასპარეზი.**

კოლ-დი-ლანოს მახლობლად ავსტრიელები მარჯვეთ მიიწევენ წინ და იტალიელების ჯარს უახლოვდებიან. მოპირდაპირე მამაცად იბრძვის.

**ახალი სიმაგრეები.**

გერმანელებმა განაახლეს და საბრძოლველად გაამზადეს გროდნო, კოვნო და ბრესტი.

გერმანელებს აგრეთვე ნემანისა და ბუგის მიდამოებში აუგიათ მთელი წყება საველე სიმაგრეებისა.

**სოფიის ტელეფონი.**

გერმანელებს ბერლინი და სოფია ტელეფონით შეუერთებიათ ბუდაპეშტისა და ორშოვის გზით. ამ ტელეფონით პირველად გაელაპარაკნენ ერთმანერს გერმანეთის სამხედრო მინისტრი ფალკენჰეიმი და ბულგარეთის სამხედრო მინისტრი ნაიდენოვი.

**სპარსეთი.**

**სპარსეთის ბედი.**

ცნობა მოვიდა, გერმანეთსა და ოსმალეთს შორის სპარსეთის თაობაზე ხელშეკრულობაა დადებული. ამ ხელშეკრულებაში რამდენიმე მუხლი სპარსეთის საგარეო პოლიტიკას და მიწა-წყალს ეხება. რადგანაც გერმანეთ-ოსმალეთს სპარსეთის ბედი თავისებურად აქვთ გადაწყვეტილი. ინგლის-რუსეთის დესპანებს სპარსეთის მთავრობასთან ამ საგნის თაობაზე დიპლომატიური მიწერ-მოწერა არ გაუმართავთ. მათ მხოლოდ სიტყვიერად აღუთქვეს სპარსეთის ხელშეუხებლობა და დამოუკიდებლობა

# უკანასკნელი ფოსტა

**საბერძნეთის პროტესტი.**

საბერძნეთის მთავრობამ გადაჭრით უარი შეუთვალა მოკავშირეებს სოლუნის გამაგრების გამო.

**გემების დაღუპვა.**

2 ქრისტეშობისთვეს ფრანგების გემი „ჯუჯურა“ კუნძულ მალტასთან ინგლისის კრეისერს დაეჯახა და დაიღუპა. გემზე მყოფნი ორის გარდა დაღუპვას გადარჩნენ.

**რკინის გზის განახლება.**

გერმანელებმა მდინარე სავაზე რკინის გზის ხიდი გადასდეს, რომელიც სერბებმა უკან დახევის დროს ააფეთქეს. ამნაირად ბელგრადს და ზეებლინის შუა რკინის გზით მიმოსვლა აღდგენილია.

**საბერძნეთის განცხადება**

საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი წინაღმდეგი იქნება მხოლოდ ბულგარელების შემოსვლისა საბერძნეთის ტერიტორიაზე, ხოლო ავსტრო-გერმანელებს წინ ვერ აღუდგება.

**მზადება**

სოლუნიდან იტყობინებიან ფრონტზე მყუდროება მეფობსო. მოკავშირენი ციხე სიმაგრეებს აგებენ და აუარებელ საომარ მასალას ეზიდებიან. სდგამენ ზარბაზნებს და თხრილებს ამაგრებენ. ინგლისელთა ჯარის გადმოსხმა ჯერ არ შეწყვეტილა. გერმანელთა ჯარი სამი დღეა სკოპლიეში თავს იყრის.

**12 ათასი სერბელი**

სოლუნის მახლობლად 12 ათას სერბელს მოუყრია თავი. ყველა საცოდავ სანახაობას წარმოადგენ, მშიერმწყურვალი, შეურაცყოფილნი, ინგლის ფრანგები თავგანწირულობით ჰშველიან მათ.

**მთაშავეთის ასპარეზი.**

მოპირდაპირეებმა მთაშავეთში აიღეს პლევლე და დიაკოვო. ამ გვარად ავსტრიელების ხელში გადავიდა მთელი ახალბაზრის სანჯაკი, რომელიც 1908 წელს მან დაუთმო სერბეთსა და მთაშავეთს ბოსნია-ჰერცეგოვინიას ნაცვლად.

**ბერლინ-სტამბოლის გზა.**

მომავალ წლის პირველ იანვრიდან დღეში ორი მატარებელი ივლის ბერლინ-სტამბოლის შუა. მატარებლები მიუნჰენზე გაივლის და „ბალკანეთის მატარებელი“ ერქმევა.

**დაღუპულ გემების რაოდენობა.**

ლლოიდის ცნობით ამ წლის თიბათვე-ენკენისთვეში სულ 317 გემი დაღუპულა. ამათგან 116 გემი ინგლისელებისა ყოფილა.

**მარშლის დატუსაღება.**

ილლიუქსტის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბარონი ფონ-რუმელი დაატუსაღეს და აღმოსავლეთის გუბერნიებისაკენ ჰგზავნიან.

**გერმანელ აგენტების უფროსი.**

გერმანელი კონსული შუინემანი სპარსეთში გერმანელთა აგენტების უფროსად დაინიშნა. შუინემანი თურმე ენერგიულად მუშაობს, აჯანყებებს აწყობს, რათა რუსეთს და ინგლისს ხელი შეუშალოს. ამ დღეებში თეირანში მოელიან სპარსეთის მთავრობასთან რაღაც საიდუმლო საქმეზე მოსალაპარაკებლად.

**რუმინეთის საზღვარზე.**

რუმინეთის საზღვარზე ავსტრო-გერმანელების დიდ-ძალი ჯარი იყრის თავს. ბულგარელებსაც ვარნასა და დედეაგაჩიდან რუმინეთის საზღვარზე დობრუჯთან გადაჰყავთ.

**გერმანელები რუსეთის ასპარეზზე.**

„ჟურნალ დე ჟენევ“-ის ცნობებით, მოპირდაპირეებს რუსეთის ასპარეზზე ჰყავთ: პრიპიატის ჩრდილოეთით მხოლოდ ავსტრიელთა მე-12 კორპუსი, რომელიც ეხლა ბარანოვიჩის მიდამოებში მოქმედობს. დანარჩენი კორპუსები სამხრეთით გადაუყვანია გენერალ ლინცინგერის სარდლობით. ამ ჯარში არის გერმანელების 2 და ავსტრო-უნგრელების 6 კორპუსი. მიტავის მიდამოებში ჰყავთ 18 პოლკი ქვეითა ჯარი და 4 პოლკი ცხენოსანი. ფრიდრიხშტატის მიდამოებში ჰყავთ ლანდშტურმი, 2 პოლკი ლანდვერი და მე-6-ე ცხენოსანთა დივიზია. იაკობშტადტთან 41-ლი დივიზია, მე-8 ცხენოსანი და სხვა ნაწილები; იაკოფშტატთან 2 დივიზია პირველ ხარისხოვანი ჯარისა, 3 დივიზია სათადარიგო და მე-44-ხე ცხენოსანთა ბრიგადა. ვილნოს მიდამოებში არის მე-77-ტე სათადარიგო დივიზია და მე-88 მეცი-

ხოვნე ჯარის დივიზია, ბრესლავლიდან.

ამ განაწილებიდან სჩანს, რომ გერმანელებს მომეტებული ჯარი დვინსკის მიდამოებთან მიუჯგუფებიათ. აქ გერმანელებს აქამდე ჰყოლიათ 60 პოლკი ქვეითა ჯარი და 18 პოკლი ცხენოსანი.

**მთაშავეთის ასპარეზზე.**

„ბერლ. ტაგებლ.“-ის ცნობები: მერანის სამხრეთით, ვალოვაცის ოლქში, მისტარიცისა და პეისის ველებში, მისტარიცისა და პეისის ველებში, იპეკის დასავლეთით და როჟანის აღმოსავლეთით მოწინავე ჯარების ბრძოლა სწარმოებს.

# ბრძოლის ველზე

**სპარსეთი.**




როდესაც რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე ბრძოლის ხაზმა შედარებით მკვიდრი ხასიათი მიიღო და მისი აქეთ-იქით გადაწევ-გადმოწევა შეუძლებელი შეიქმნა სხვა და სხვა მიზეზის გამო, რომელთ შორის პირველობა ჰავას, ატმოსფერულ მიზეზს უნდა დაეთმოს, გერმანეთი შეუდგა ახალი ასპარეზების შექმნას, სადაც სამხედრო მოქმედება შედარებით მეტის სიჩქარით გამარჯვებამდე მიიყვანდა და მცირე მსხვერპლის შეწირვით სტრატეგიულ და პოლიტიკურ შედეგის მაქსიმუმამდე მიაღწევინებდა. პირველ არჩევანში ბალკანეთი ამოვიდა. ამას გერმანეთის შინაგანი ეკონომიური მდგომარეობაც მოითხოვდა. ორ თვეში ამ ასპარეზს მორჩა კიდეცა და აღმოსავლეთ აზიის დახშული კარი გერმანეთის წინაშე ფართედ გაიღო.

ამავე დროს გერმანეთი შეუდგა სპარსეთის შეიარაღებას და მის აჯანყებას რუსეთის წინააღმდეგ. სპარსეთის ტერიტორიაზედ რუსეთის სამტრო მოძრაობის გამოწვევის მიზეზი ის იყო, რომ კავკასიის რუსის მხედრობის ყურადღება მეტ წილად მის მარცხენა ფრთას, კერძოდ თეირანს მიქცეოდა. ამ შემთხვევაში კავკასიის ბრძოლის პირი ერთი ორად გაგრძელდებოდა (ტრაპეზუნიდან თეირანამდე 2000 ვერსია), ფრონტის ხაზის გასწვრივ რუსის მხედრობის სისქე შეთხელდებოდა და შეიქმნებოდა მრავალი სუსტი ადგილი, რომლის ანაზდეული გარღვევა მეტად ადვილი იქნებოდა. ყველა ამის წყალობით ოსმალეთს შეეძლო ესარგებლნა და თავის ჯარის ერთი ნაწილი კავკასიის ფრონტიდან მესოპოტამიაში გადაეყვანა და იქ მიშველებოდა ბაღდადს, რომელსაც ინგლისის სადესანტო ჯარი გენერალ ტაუნსენდის მეთაურობით აღებასა და დამხობას ემუქრებოდა. სპარსეთში მღელვარება ხერხიანად მოეწყო: ქერმან-შაჰის პროვინცია, არაბისტანი, სპარსეთის ყურის არე-მარე, ისპაჰანის ოლქი, ხოროსანი და სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი რუსეთ ინგლისის საწინააღმდეგო მღელვარებამ მოიცო. მოჰკლეს რუსეთის კონსული კევერი. კენგევერში თავს დაესხენ რუსეთისა და ინგლისის საკონსულოებს, ისპაჰანში დასჭრეს ინგლისის კონსული, შირაზში ორჯელ თავს დაესხენ ინგლისის კონსულს, ბუშირში მოჰკლეს ინგლისელი ოფიცრები, განდევნეს ისპაჰანიდან, ქერმანშაჰიდან რუსეთის კონსულები, შემოზიდეს თოფები და იარაღები, ყუმში შესდგა ეროვნული თავდაცვის კომიტეტი, რომელიც ხალხს იარაღს ურიგებდა და მთავრობისგან მოითხოვდა ომი გამოეცხადებინა რუსეთ ინგლისისათვის. სპარსეთის პარლამენტის დეპუტატები ამბოხების სათავეში ჩასდგენ. შაჰმა სამხედრო კონვენცია დასდო გერმანეთ-ოსმალეთთან სამღვდელოება და ვაჭრობა რუსეთ-ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩასდგა. შაჰიც ჩუმ-ჩუმად კვერს უკრავდა გერმანეთ-ოსმალეთის აგიტატორებს, სპარსეთის ჟანდარმერია და ყაზახები, რომლებიც რუსეთ-ინგლისის ფულით შექმნილი იყო და ინახებოდა კიდეც, მეამბოხეთა მხარეზე გადვიდნენ; ერთის სიტყვით მთელი სპარსეთი რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ ირაზმებოდა. რუსეთი მართლაც იძულებული შეიქმნა ჯარი სპარსეთისკენ დაეძრა. ამ ჯარს გამოეყო ერთი რაზმი, რომელიც 28 ღვინობისთვეს ყაზვინიდან გავიდა და თეირანის გზას დაადგა. ოსმალებმა ისარგებლეს ამ გარემოებით, ჯარის ერთი ნაწილი მესოპოტამიაში წაიყვანეს, სადაც ჩამოუსწრო ფონ-დერ-გოლც ფაშის არმიიდან გამოყოფილმა ნაწილმაც. ოსმალეთის შეერთებულმა ძალებმა საშინლად დაამარცხეს ინგლისელები ქ. ქთეზიფონთან, რომელიც ბაღდადზე 30 ვერსით არის დაშორებული. რა შედეგსაც მიიღებდა ინგლის-რუსეთისთვის ბაღდადის აღება ინგლისელების მიერ, ისეთივე შედეგი მიიღო გერმანელ-ოსმალების სასარგებლოდ ქთეზიფონთან ინგლისელების დამარცხებამ.

გერმანეთ-ოსმალეთმა თავიანთ პირველ მიზანს მიაღწია. კავკასიაში მებრძოლ ჯარით ისარგებლეს ინგლისელების წინააღმდეგ, რუსეთს ძალები დააქსაქსვინეს, ფრონტი გააგრძელებინეს, (ბარათოვი თავის რაზმით ქამადანში ჩავიდა კიდეც) კავკასიის ფრონტზე რუსეთის მხედრობა შეთხელდა. დღეს მდგომარეობა ასეთია ქურთისტანში: ვანისა და ურმიის ტბების სამხრეთში მოქმედობს ოსმალთა ჯარი ქალილ-ბეის მეთაურობით. ამ ჯარში გარეულია დიდძალი ქურთობა. ქალილ-ბეის ჯარს ისეთი ადგილი უჭირავს, რომ ადვილად შეუძლია სპარსეთის სიღრმეში განმარტოებით შეჰრილს ბარათოვის ჯარს, რომელსაც ყოველის მხრივ გარს მტერი ახვევია, უკუ დასახევი გზა გადაუჭრას და საფრთხეში ჩააგდოს, მაშინ გერმანეთ-ოსმალეთის შორეული მიზანი: სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიაში შემოსევა, მიღწეული იქნება.

პირველი საშიშროება ისაა, რომ ბარათოვის ჯარი ხაფანგში არ მოემწყვდეს. ამაზედ უნდა იზრუნონ სადაც ჯერ არს. ამ შიშის საბუთებს უკვე იძლევა უკანასკელი დღეების ოფიციალი დეპეშები. მაგალითად 6 ქრისტეშობისთვის მთავარ შტაბის დეპეშაში ნათქვამია, რომ სოფელ კუშკენთან, ქამადანისა და თეირანის გზაზე შემოუტევია მოწინააღმდეგის რიცხვ მრავალ ჯარს, რომლის პირველი იერიშები, დეპეშის ცნობით, რუსებს მოუგერებიათ.

სპარსეთის დღევანდელი ვითარება ერთობ დიდი შიშის აღმძვრელია. ეს მით უფრო საგულისხმიეროა რომ მისი ასეთი თუ ისეთი დასკვნა. პირდაპირ შედეგს მოიღებს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე, რომელმაც შარშან ამ დროს განიცადა კიდეც მწვავე შედეგები უცხოელთა ჯარის მოახლოვებისა.

---

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე მას ორ-სამ ადგილას მოუხდა უბრალო შეტაკება, რომელიც არაფრით განირჩევა ამ ბოლო ხანების უმანძილო ოპერაციებისაგან.

**მეგრი.**

---

## თბილისი, 8 ქრისტეშობისთვე.

**გზა-ჯვარედინზე ვდგევართ.**

დღევანდელი ამბების დიდი შედეგები ყველასთვის ცხადია. დამდგარი მომენტი მრავალ თავისებურობას ატარებს თავის წიაღში. ერთი მისი თავისებურობა ისაა, რომ ატეხილ ომის ფარგალში მოყოლილი ერი თანაბარის შანსებით სდგას საბედისწერო უფსკრულისა და სანუკვარ მომავლის გზა-ჯვარედინზე. ეს აბსოლიუტად მართალია პატარა ერისათვის. და ჩვენ, ქართველები ხომ პატარა ეროვნებას წარმოვადგენთ. საქართველოს წარსულმა იცის არა-ერთი და ორი ასეთი იშვიათი მომენტი, რომლის ამოუშლელი დაღი ავად ამჩნევია დღევანდელ საქართველოს სულს. შეგვიწირავს აუარებელი მსხვერპლი ასეთ მომენტე ისთვის; საკუთარ სხეულიდან იძულებით ჩამოგვიჭრია საუკეთესო ნაწილები და მტრისთვის გაგვიტანებია. ეს მომენტები საქართველოს უაღრესი ტრაღედიისა და მის ეროვნული სულის უმწვავესი გლოვის წუთები იყო! ამ ეროვნულ კატასტროფის ბრალი თვით საქართველოს ედება: შემოსეულ მტერს არ მიაგება **მაქსიმუმი ერთობისა.** ხოლო დაქსაქსულ და დანაწილებულ მოქმედებით, ვერრას გახდა თვით უმაგალითო თავგანწირულება სამშობლოს მალმერთებელ ქართველ მეომარისა. ამ წარსულის საუბედურო შეცდომის შედეგი ყოველ ჩვენთაგანს თან დააქვს დღესაც. წარსულით გაფრთხილებული ვართ. ჩვენზეა დამოკიდებული, გამოვიყენებთ თუ არა მის მწარე გაკვეთილს და ავიცდენთ თუ არა საბედისწერო ისტორიულ შეცდომას. მოვალენი ვართ სამშობლოს ერთგულ მსხვერპლთა წინაშე, მოვალენი ვართ სამშობლოს მზიანი მომავლის წინაშე—და ბოლოს—ეს ერთგვარი შინაგანი უძლეველი იძულებაა ეროვნული უკვდავების უცხრომი სულისა,—რომ მთელი ქართველობა შეერთდეს საქართველოს სხეულის გასამთელებლად, საქართველოს ეროვნული საკუთრების—ტერიტორიის—დასაცავად, და ამ ტერიტორიაზედ უფლების აღსადგენად. დღეს იმის დრო არ არის, რომ ვგმოთ და ვებრძოლოთ ეროვნულ-ტერიტორიის პრინციპს და ქართველ ერს ეროვნული ნებისყოფის გამაპათილებელი აზები ვაყლაპინოთ. ამის წერა **და ქადაგი—უპირველეს ყოვლისა მომენტის უღალატობაა და ვისაც დროსა** და გარემოების ალღო ღალატობს, ის მართალი არ არის და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ეროვნულ საქმესა და მომავალს. ეროვნული თვით-აღდგენა—უდაო დევიზი უნდა იყოს ყოველი ქართველისა. დღეს ისეთი მომენტია, რომ შეიძლება ბევრი დავკარგოთ და შეიძლება ბევრიც მოვიგოთ. ნუ ვიქმთ ისე, რომ დამღუპველი საშინელება თავს დაგვატყდეს. რამდენადაც ჩვენს ხელთ არის მომავლის „მოგება“, განვიმტკიცოთ იგი. ამისთვის პირველი პირობა—ეროვნული ერთობაა. უფსკრულისა და მზიან მომავლის გზა-ჯვარედინზე ვსდგევართ. სამშვიდობოს მხოლოდ ეროვნული ერთობა გაგვიყვანს. ამას ვემსახუროთ, ამაზედ ვსწეროთ, ეს ვიქადაგოთ...

# ახალი ამბავი

✦ **საქართველოს ახალი ექსარხოსი.** უმაღლესი ბრძანებით კიშინოვის ეპისკოპოსი პლატონი საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა.

✦ სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით, 1916—1917 სასწავლო წლიდან საბეითალო ინსტიტუტში მიიღებენ რეალურ, კომერციულ, საშუალო სამეურნეო სასწავლებლების და კადეტთა კორპუსის კურს დამთავრებულ შეგირდებს. ყველა ამათ მხოლოდ ლათინურში გამოსცდიან.

✦ **შუამდგომლობა.** გასულ თიბათვის ნიაღვრობამ სოფ. კინჩხის (სენაკის მაზრა) სახალხო სკოლაც იმსხვერპლა. არ გადარჩენილა სკოლის არც შენობა და არც ავეჯეულობა. მოსწავლეებს არ შეეძლოთ სიარული რომელიმე მოსაზღვრე სოფლის სკოლაში, რადგანაც არც ერთს ასეთს სოფელზე სკოლა 10 ვერსტზე ახლოს არ მდებარეობს. გარედ დარჩენილ ბავშვებს მიეშველა მღვდელი მამა ზაქარია ხურცილავა, რომელმაც თავის ხარჯით დროებით უქირავა სკოლისათვის შენობა. სკოლის გამგე ბ-ნი რაჟდენ ჭანტურია სთხოვს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას აღმოუჩინოს ხსენებულ სკოლას რაიმე დახმარება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სამოსწავლო უწყება არაფრით არ დახმარებია სკოლას.

✦ **მადნეული წყაროები.** თიანეთისა და თელავის საზღვარზე თუშეთის კალთებთან იმყოფება მადნეული წყაროები, რომელშიაც წყლის სითბო 30°-ს უდრის. ამ წყაროებს ჰქვიან თორღვას აბანო, რომელიც ბევრგვარ სნეულებას ჰკურნავს, განსაკუთრებით ქარებიანებს (რევმატიზმი). ჰრილობას, რაიცა იმის მომასწავებელია, რომ წყალში „რადი“ უნდა ერიოს. აბანოები, როგორც საუკეთესო საშვალება მრავალი სენისა, სახელგანთქმულია საქართველოს მეფეების დროიდან და ყოველ ზაფხულობით დიდძალი ხალხი მიდის იქ სამკურნალოდ. აბანოებს ზედვე აკრავს 1000 დესეტინამდე მშვენიერი სურნელოვანი ტყე, რაიცა დიდ ღირსებას ჰმატებს მათ. დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს უგზოობა. თუშები სთხოვენ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ ეს აბანოები გააცნოს საკურორტო საზოგადოებას, რათა ამ უკანასკნელმა თავისი მფარველობის ქვეშ მიიღოს აბანოები.

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მორიგი კრება** გაიმართება ამ თვის 14, დეპუტატთა საკრებულოში, საღამოს 7-ის ნახ. საათზე. **გ. თ. ჟორდანია** წაიკითხავს მოხსენებას: „ზოგიერთი ქართული ხალხური ადათი“. მოხსენებაზე დასწრება ყველას შეუძლიან.

✦ **გამოცხადდა გზათა მინისტრის ბრძანება,** სადაც ნათქვამია რომ უმაღლესის ბრძანებისამებრ **რკინის გზაზე** იმ უმცროს მომუშავეთ, რომელთა ჯამაგირიც 600 მანეთს აღემატება, 1916 წლიდან ვიდრე ომიანობა იქმნება მიეცემა 30 პროცენტი მთელის წლის შემოსავლისა.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ხარფუხის კლუბის დარბაზში ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ, წარმოდგენილი იქმნება: **„პირველი ბუზი“** კომედია 3 მოქ. ვ. გუნიასი. ამ პიესისთვის დამზადებულია ახალი დეკორაცია. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

✦ **საქველმოქმედო ოპერა.** ვაჟთა მე-6 გიმნაზიის მშობლთა წრემ საოპერო საღამო გამართა ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. შემოვიდა 1.788 მან. 60 კაპ. ხარჯი იყო 972 მან. 95 კაპ. დარჩა 815 მან. 65 კაპ.

✦ რედაქციამ მიიღო წიგნაკი: „ჩვენი ეროვნული საქმე ახლანდელ ისტორიულ მომენტში“. გარეშისა გაგამოცემა ვლ. ჩიქოვანისა. მისი წმინდა შემოსავალი დაზარალებულ აჭარლების სასარგებლოდ გარდაიცემა.

✦ **ვაჟა-ფშაველას საღამო.** როგორცა ვსწერდით, ხარფუხის კლუბში გაიმართება მომავალ ხუთშაბათს. საღამო **ვი. გომართლის** სიტყვით დაიწყება. **დ. კასრაძე** წაიკითხავს მოხსენებას ვაჟა-ფშაველაზე, ახალ-გაზრდა მგოსნები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს, სამუსიკო განყოფილება და სხვა. დაწვრილებითი პროგრამა შემდეგ. ბილეთები არავის დაეგზავნება. ბილეთების მაგიერ შესვლისას გადაიხდიან: კლუბის წევრები და კანდიდატები—ათ შაურს, გარეშენი—ერთ მანეთს.

✦ **ქართულ თეატრის** აღსადგენ ფონდის გასაძლიერებლად „ახალმა კლუბმა“ 1 აპრილიდან ღვინობისთვის გასვლამდე შეაგროვა 8.109 მან 60 კაპ.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა** ბ-ნ რუდოლფმა შემდეგის წერილით მიმართა ქართულ სას. სამ. საზოგადოების საბჭოს: „გულწრფელ მადლობას ვუძღვნი ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს თ-დ კ. მ. ამირაჯიბისეულ ავლევის სკოლაში შემდგარ სასოფლო-სამეურნეო მცენარეულობათა კოლლექციების შეწირვისათვის კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცენტრალურ მუზეუმისთვის. ამასთან ერთად ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და თავ. კ. მ. ამირეჯიბის ავლევის სკოლას ვუგზავნი ძღვნად კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამოცემებს ქართულ და რუსულ ენაზე“.

ეს გამოცემანი, რიცხვით 30 წიგნამდე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკვე მიიღო და გაუგზავნა თავის მხრივ ავლევის სკოლასაც.

✦ **შაქარი.** გორში სრულებით არ ყოფილა შაქარი. იქაურ ქალაქის გამგეობის წარმომადგენელი იყო თბილისის ქალაქის გამგეობაში შაქრის სათხოვნელად, მაგრამ თბილისშიაც არ მოიპოვება შაქარი. თბილისის ქალაქის გამგეობის მიერ ბაქოში შეძენილ შაქარს დღე-დღეზე მოელიან, ხოლო ადესაში ნაყიდი 45.000 ფუთი შაქარი ჯერ არ დაძრულა ადგილიდან

✦ **რკინის გზით მოგზაურობა.** გზათა სამინისტროში მზადდება ახალი წესი რკინის გზით მოგზაურობის შესახებ. მგზავრს ნება ექნება თითონვე აირჩიოს თავისი მარშრუტი, რომელიც მისთვის უფრო მოხერხებული იქნება. მგზავრს მიეცემა კუპონებიანი წიგნაკი, რომელშიაც აღნიშნული იქნება მისი ვინაობა. ამ წიგნაკით შეიძლება მგზავრობა 1000—2005 ვერსის მანძილზე და წიგნაკს ძალა ექნება 2 თვის განმავლობაში; 2005—3010 ვერსტის წიგნაკი გამოდგება 3 თვეს, ხოლო 3010 ვერსისა 4 თვეს.

✦ **მდივნად** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა ნაცვლად ბ. ვერმიშევისა ასახელებენ აგრონომ ალექსანდრე ოსიპის ძე ფაბრიკანტს, რომელმაც უკვე შეიტანა განცხადება ამ თანამდებობის მიღების თაობაზე. ბ-ნი ფაბრიკანტი ამ ჟამად პეტროგრადში ცხოვრობს და თანამშრომლობს იქაურ სასოფლო სამეურნეო ჟურნალ-გაზეთებში.

✦ **კახეთის რკინის გზის გარშემო.** 6 ქრისტეშობისთვეს, ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით, შეერთებული კრება ჰქონდათ კახეთის რკინის გზის გამგეობას და სარევიზიო კომისიას. კრების საგანს შეადგენდა მომავალი წლის საექსპლოატაციო გეგმის შემუშავება.

✦ **სიონის ტაძარში,** გუშინ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, საქართველოს ახალ ექსარხოსის ყოვლად უსამღვდელოეს პლატონის დანიშვნის გამო.

✦ **წარჩინება.** ბრძოლის ველზე სიმამაცისათვის პრაპორშჩიკს **კოლმიცაშვილს** უბოძეს წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვარი ხმალ-ბანტით. წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ჯვრით და მახვილით იქმნენ დაჯილდოებულნი: პოდპოლკოვნიკი **ირაკლი ფურცელაძე,** პრაპორშჩიკი **ახვლედიანი,** პრაპორშჩიკი **დათიაშვილი** და პორუჩიკი **მიქელაძე.**

# რევერანსების შედეგი

არას დროს სომხური პრესა არ მისულა ისეთ უტიფრობამდე, როგორც ამ უკანასკნელ დროს; ხოლო ბ-ნ „არლოს“ წერილმა, გაზეთ „ჰორიზონის“ პირველ ქრისტეშობისთვის ნომერში რომ დაიბეჭდა, თავდაჭერის, ნამუსის საზღვრები სულ ერთიანად გადალახა! არას დროს სომხურს გაზეთს და აზროვნებას არ გაუბედია, ასეთი თავშეუდებელი გამოსვლა მთელი ქართველობის წინააღმდეუ იმ დროსაც კი, როცა მათის აზრით „ქართველი შოვინისტები კაციჭამიობას ქადაგებდნენ“; ისინი ბედავენ ამას მხოლოდ ეხლა, გამხნევებულნი სოციალისტების რევერანსებით, რომელნიც „სახალხო ფურცლის“ და „მეგობარის“ პირით ფიანდაზად ეგებიან და დათმობის... კიდევ დათმობის გზაზე სდგანან; იმ გზაზე რომელსაც ადგება ყოველი უნიათო, დასუსტებული და დავრდომილი კერძო პირი, ჯგუფი, პარტია, თუ მთელი ერი.

ჩვენ არ გვიკვირს ასეთი გამოსვლა სომხურ „ჰორიზონისა“, ვინაიდან „კოკასა შიგან რაც სდგას, იგივე წარმოსდინდების“; მაგრამ თვით ამ „წარმოდინების“ ბრალი ედებათ ჩვენ „სოციალისტებს“, რომელნიც თავიანთ საკუთარ უნიათობას ახვევენ მთელ ქართველ ერს და უკუღმართი ქცევით და სიტყვა-პასუხით მოპირდაპირეს ათამამებენ.

„სახალხო ფურცელს“ უკვირს, (?) რომ სომხები, რომელთაც ჩვენი სოციალისტების ფანტაზიით უკვე ჩაიბარეს ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები,—ახლა შავი ზღვის ნაპირებსა და მთელს კავკასიაზედ პრეტენზიებს აცხადებენ, როდესაც ოსმალეთში ლილა გაუხუნდათ და ერთადერთი ღვთისნიერი ხალხი, რომელიც მუდამ მათი მფარველი იყო, დღესაც ურიგებს მათ საკუთარი ხორცის ნაჭრებს, ურიგებს ბორჩალოს, ახალციხეს, ახალქალაქს?! რატომ არ ექნებათ პრეტენზიები, როდესაც აღიარებულია პრინციპი რეალი მოსახლეობისა და გადასახლების შეჩერების პრინციპი კი არავის უხსენებია!

მაგრამ მოვიყვანოთ თვით ეს მარგალიტი წერილი, რომ ყოველმა ქართველმა აღიბეჭდოს გულში, თუ ვინ არიან სომხები და რა სწადიათ იმათ ჩვენში. რასაკვირველია, ჩვენი სოციალისტები იმას იტყვიან მაშინვე, რომ არ შეიძლება ვინმე „არლოს“, ან „ჰორიზონის“ აზრი, მივაწეროთ მთელ სომხის ერსაო,

(წერილი „სახ. ცლის“ ნათარგმნია).

„აურ-ზაური, რომელიც ქართ[...] შოვინისტურმა პრესამ ასტეხა, რაცმყოფელი და მტრული დამო[...] ბულება გამოქცეულთადმი, სამარ[...] ნო დაღად დააჩნდება ქართველ[...] იმ საშინელ უბედურებას, რომ[...] თავს დაატყდა ოსმალეთის სო[...] შეუძლიან აიცრემლოს გველიც[...] ჩვენი კეთილშობილი მეზობ[...] წარმომადგენლებმა კი არამც თ[...] რალო თანაგრძნობა არ გამოგვ[...] დეს, დაჩუმდნენ, დაიწყეს დევნ[...] სომხებისა, რომლებიც ველურ[...] დოებს ცოცხლად გადარჩნენ. სხვა[...] სხვა „გრუზინები“ თავიანთი ა[...] საქციელით თალაათებად და ენვ[...] ბად ჰხდებიან. ჩვენც ძალა-უნებ[...] გვებადება კითხვა: ამ იერიში[...] არ იფარება უფრო რთული ფს[...] ლოგია: „ვირს რომ ვერაფერი[...] აკლეს, უნაგირს დაუწყეს ცემა[...] ამბობს ხალხური ანდაზა.

საკადრის პასუხს აძლევდნენ და[...] ლევენ სხვები; ამ ჟამად ჩემს მი[...] შეადგენს გამოვარკვიო ბნელი მ[...] ზრებანი შავი ზღვის ნაპირის სო[...] რი კოლონიების შესახებ. გვინდა[...] მოვაქვეყნოთ ფაქტი, რომ **კავკას[...] ადგილობრივმა მკვიდრებმა უ[...] მეტი გადასახლებულები მოგვცეს[...] დრე ჩვენ—კავკასიას** (ხაზი ავტო[...] საა).

უპირველესად ყოვლისა უ[...] ვსთქვათ, რომ გადმოსახლებული ს[...] ხების მიერ დაჭერილი ოლქი შ[...] ზღვის ნაპირად, შედიოდა არა ის[...] რიულ საქართველოში, არამედ აფ[...] ზეთსა და ჩერქეზეთში. ქართველ[...] აქაც მოსული ხალხია; მათ მშვიდ[...] წყნარად განდევნეს ადგილობრ[...] მკვიდრნი და ხელთ ჩაიგდეს საქა[...] ქო თვითმართველობანი. მეორ[...] სომხების გადმოსახლებულები, მცი[...] ოდენის გამონაკლისით, მშრომე[...] ხალხია (ხუთი ათასი კომლიდან ო[...] სამი ათასი მიწათ-მფლობელია). მე[...] მე, გადმოსახლებული სომხები სცხ[...] რობენ არა სახაზინო მიწებზე (ამ[...] წებს გადმოსახლებულ რუსებს აძ[...] ვენ); ლუკმა პურისთვის შავს სამუშა[...] ეწევიან, ასუფთავებენ ტყეს, სწე[...] მიწის ფასს, ამდიდრებენ მიწის პა[...] რონებს. ერთმა იმათგანმა თ-[...] შერვაშიძემ 1904 წელ საიმპერატ[...] რო სამეურნეო საზოგადოების კრე[...] ზე განაცხადა, გადმოსახლებული სო[...] ხები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ ს[...] შილით ამოვწყდებოდითო.

მეოთხე: რუსეთის შავი ზღვის გ[...] ვითარება გადმოსახლებული სომხებ[...] მეთამბაქოების საქმეა. ქართველე[...] მათ შემდეგ მივიდნენ მათივე დახმ[...] რებით და დაიჭირეს მტკიცე პოზ[...] ცია.

მეხუთე: გადმოსახლებული სომხე[...] არამც თუ არ ავიწროვებენ ადგილ[...] ბრივ მკვიდრთ, არამედ თავისი შრო[...] მის მოყვარეობითა და მეთამბაქობი[...] ასრულებენ **უფასო ინსტრუქტორებ[...]** როლს, ადგილობრივ მკვიდრთა შორი[...] რომლებიც დღეს, ზარმაცი და მოყ[...] ჩაღე აფხაზი და გურული გლეხებ[...] პლანტატორობას იწყებენ და ფუ[...] შოულობენ. მაგრამ, რაც **უმთავრესი[...]** კავკასიის არც ერთ ერს უფლება არ[...] აქვს ხმა ამოიღოს, სომხებმა რომ მო[...] ისურვონ **კავკასიაში დასახლება,** რად[...] განაც ეს **ბუნებრივი გაცვლა** იქნებო[...] და. ამ მხრით კავკასიელები ჯერ კი[...] დევ მოვალენი არიან ოსმალეთის სომ[...] ხეთისა.

კავკასიამ მისცა სომხეთს და ოსმა[...] ლეთის იმ ნაწილებს, სადაც სომხებ[...] სცხოვრობენ, ასი ათასობით ჩერქეზე[...] ბი, ჩეჩნები, აფხაზები, გურჯები (მაჰ[...] მადიანი ქართველები), რომლებიც მი[...] ვიდნენ, სომხების მიწები დაიჭირეს[...] დაიწყეს რბევა, ხოცვა „მოსკოვის გ[...] აურისთვის“ სომხის ხალხისა, აღმო[...] სავლეთის ქრისტიანების ერთად-ერთ[...] წარმომადგენლისა. სომხებსა და ბერ[...] ძნებს, რომელიც შავი ზღვის ნაპირზე[...] არიან დასახლებულნი ოსმალეთში, ბევრი რამ გამოუცდიათ გურჯებისაგან, ქართველების თანამემამულეთა[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან. ისინი იძულებული ჰხდებოდნენ კავკასიაში გადასახლებულიყვნენ. გადმოსახლებულნი უუფლებოდ, უმიწოდ რჩებოდნენ, კავკასიიდან ოსმალეთში გადასახლებულნი-კი სრულუფლებიან წევრად, რომლებიც ადგილობრივი მკვიდრთა ქონებითა და პატიოსნებით როგორც ჰსურდათ, ისე სარგებლობდნენ.

მხოლოდ კავკასიის შავი ზღვის ნაპირმა მოგვცა მილიონამდე მოყაჩალე გადმოსახლებული, სამაგიეროდ კი მიიღო 50.000 სომეხი და ბერძენი, რომლებმაც, თავიანთი კულტურის წყალობით (მეთამბაქონი არიან), მილიონების სარგებლობა მისცეს სახელმწიფოს, ვაჭრებსა და მიწის პატრონებს. ისინი ადგილობრივ მცხოვრებთა საუკეთესო ინსტრუქტორებად გადაიქცნენ. ბ-ნო „გრუზინო"! დაგვეთანხმეთ, რომ **სამაგიერო სამართლიანად არ არის მიძღვნილი**; ჩვენ ჯერ კიდევ მოვითხოვთ კავკასიისაგან.

თუ ეს გადასახლება „წინასწარ განზრახულია", „ბოროტის განზრახვით", მაშინ პირველი და უდიდესი ცოდვა ეკისრებათ თქვენ, რადგანაც ჯერ თქვენ, კავკასიელები, გადმოსახლდით სომხეთში და ისიც ბლომად. **არლო**".

## საქართველოს ახალი ექსარხოსი

დეპეშამ მოიტანა ცნობა, რომ საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა მაღალყოვლად უსამღვდელოესი **პლატონი**, კიშინიოვის მთავარეპისკოპოსი.

ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი, ერისკაცობაში პორფირე როჟდესტვენსკი, დაიბადა 1866 წლის 23 თებერვალს, კურსკის გუბერნიაში. სადაც მან 1886 წელს დაასრულა სასულიერო სემინარია და 4 წელიწადი მღვდლობა ეწეოდა გრაივორონის სამრევლოში. 1891 წელს დამქვრივდა და შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში; ჯერ კიდევ სტუდენტობისას. 1894 წელს აღიკვეცა ბერად. 1895 წელს დაამთავრა აკადემიის კურსი და დატოვებულ იქმნა დოცენტად. 1897 წ. მიიღო მაგისტრის ხარისხი და საქრისტიანო ეთიკის პროფესორობა. 1899 წელს დაინიშნა აკადემიის ინსპექტორად, ხოლო 1902 წელს—რექტორად და ეპისკოპოსად. 1907 წელს 20 თებერვალს ამორჩეულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროს წევრად, მაგრამ ამ თანამდებობაზე ის დიდხანს არ დარჩენილა; იმავე წლის 3 ივნისს ის დაინიშნა ჩრდილოამერიკაში მთავარეპისკოპოსად, სადაც დარჩა 1914 წლის 20 მარტამდის, როდესაც ის გადმოიყვანეს კიშინიოვში.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წევრთა საერთო წლიური კრება

**6 ქრისტეშობისთვე, დილის 11 საათი 50 წუთი.**

კრება დაიწყო **დავ. კარიჭაშვილის** თავმჯდომარეობით. წაიკითხეს წინა კრების ოქმი. კითხვამ მთელ საათს გასტანა.

ბ-ნმა **კ. ჯაფარიძე**. წინანდელ კრების მხოლოდ დადგენილებანი იქმნას წაკითხული შემდეგს კრებაზე, როგორც ეს მიღებულია ბევრს სხვა საზოგადოებაში და პარლამენტებში, ხოლო რაც შეეხება ორატორების ნალაპარაკევს, ის ინახებოდეს ყოველ შემთხვევისათვის არქივში. წინადადება მიღებულ იქმნა ბ-ნ ან. ღულაძის შესწორებით, რომ თუ რომელიმე ორატორი მოისურვებს გაიგოს, სისწორით არის თუ არა მისი ნალაპარაკევი ჩაწერილი და ოქმში შეტანილ სიტყვის შესწორებას მოინდომებს, ეს ცვლილება უნდა მოხდეს გამგეობასთან შეთანხმებით, რათა ნამდვილად აღდგინდეს წინანდელი და არა ახალი მოსაზრებანი ჩაემატოს ოქმში.

**ვალების განაღდება.**

**მდივანმა ვ. ბურჯანაძემ** წაიკითხა გამგეობის მოხსენება ძველი ვალების განაღდებაზე.

საზოგადოებისა ჰმართებს დღეს სხვა და სხვა დაწესებულებას და კერძო პირებს 5,391 მან. 70 კაპ.

„როგორც სამი წლის საქმის წარმოებამ დაანახვა გამგეობას, ეს დარჩენილი ვალი უნდა გაიყოს სამ ნაწილად:

პირველი ნაწილი უდრის 586 მან. 92 კაპ. ეს ვალი უეჭველად განაღდდება, რადგან მოვალეებმა განაცხადეს სურვილი გადახდისა და ნაწილ-ნაწილად იხდიან კიდევაც.

მეორე ნაწილი უდრის 4,040 მან. 28 კაპ. ეს ვალი განაწილებულია 28 პირზე, რომელთაგან ზოგმა არავითარი პასუხი არ გასცა გამგეობას საჩივრის მუქარაზედაც კი, ზოგიერთებმა ცოტაოდენი ნაწილი ვალისა გადაიხადეს, ხოლო დანარჩენის პატიებას თხოულობენ. ამათ წინააღმდეგ, გამგეობის აზრით, უეჭველად საჩივარი უნდა აღიძრას.

მესამე ნაწილი კი უდრის 764 მან. 50 კაპ. ეს ვალი უნდა მოიხსნას რადგან ზოგ მოვალეს სკოლებისათვის წაუღია წიგნები და მუქთად დაურიგებია ზოგი მოვალე დაკარგულა, ანუ სამუდამოდ გადასახლებულია და სხ. კრებამ უკამათოდ შეიწყნარა გამგეობის წინადადება.

**საგურამოს მამული.**

შემდეგ წაიკითხეს მოხსენება ილიასეულ საგურამოს მამულის შესახებ:

„საგურამოს მამულის მოვლა-პატრონობის საქმე ერთობ მძიმე საკითხად გადაექცა წ. კ. გ. საზოგადოებას. 7 წელიწადია საზოგადოების განკარგულებაშია ეს მამული. ამ ხნის განმავლობაში მოიჯარადრეც, მეთვალყურეც ბევრი გამოიცვალა, მაგრამ მამული ისევ მძიმე ტვირთად აწევს საზოგადოებას. თავი და თავი მიზეზი ამისა ეხლავ დავასახელოთ. საქმე ისაა, რომ თავიდანვე, როცა მამული საზოგადოების ხელში გადავიდა, არ იქმნი მიღებული რადიკალური ზომები მამულის რიგზე დასაყენებლათ. საზოგადოებას რომ მაშინვე ჰქონოდა თავისუფალი დიდი თანხა და სპეციალისტების დახმარებით გაეუმჯობესებინა მამული, გაეფართოვებინა კულტურული დარგები მეურნეობისა, ეხლა ხელთ გვექნებოდა გაკეთებული მამული, რომელიც შემოსავლის წყაროდ და არა მძიმე ტვირთად გადაიქცეოდა საზოგადოებისათვის. მეორეს მხრით ისიც უნდა ითქვას, რომ თვით გამგეობა არ არის მოწყობილი სოფლის მამულის პატრონობისთვის. ჩვენი ცხოვრების პირობებში სოფლის მამულის მეპატრონე დღე და ღამ თავს უნდა დასტრიალებდეს მამულს, ბეჯითად თვალყურს ადევნებდეს მის მდგომარეობას, დროზე იღებდეს ამა თუ იმ საჭირო ღონეს მამულის შეკეთებისა და გაუმჯობესებისათვის. ჩვენი დაწესებულება კი, რომლის წევრნი მუდამ თბილისში ცხოვრობენ და სხვა და სხვა საქმით არიან დატვირთულნი, არ არის მიზნის შესაფერისი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს სოფლის მამულს სათანადო პატრონობა გაუწიოს. ერთის მხრით ეს გარემოება, მეორეს მხრით, როგორც ვთქვით, თავისუფალ და საკმაოდ დიდის თანხის უქონლობაც პირდაპირ კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებდნენ გამგეობას და მიუხედავად იმისა, რომ ცდა არ დაუკლია საქმის საშველად, მამულის მდგომარეობა მაინც კრიტიკულია.

„საგურამოს მამული თავის თავად კარგია და იმისი შემოსავლიან მამულად გადაქცევა შესაძლებელი; ამას ყოველი მცოდნე ადასტურებს და ცხადია ყველასათვის, ვისაც კი ის დაუთვალიერებია მუშტრის თვალით.

მთლიანი თითქმის ერთ ნაჭერში მოქცეული მამული შეიცავს 286 დესეტინას და 690 ნახ. საჟენ მიწას. აქ არის სახნავი მიწაც 69 დესეტინაზე მეტი, ვენახიც და ბაღიც, ტყეც—114 დესეტინამდე, საბალახოც 75 დესეტინაზე მეტი. ნიადაგი მიწისა მშვენიერია, ადგილ-მდებარეობა კარგი, რკინის გზის სადგურიდან და ქალაქიდან ახლო, წყალი ბევრი აქვს და სანამ ილია ცოცხალი იყო, ყოველგვარი სამეურნეო ინვენტარითაც მდიდარი იყო. ეს მთლიანი და მძლავრი მამული პატრონის ხელში, როცა რიგიანი მეურნეობა იწარმოვებოდა, მდიდარ და შემოსავლიან მამულად იყო. ეხლა კი, თამამად შეიძლება ითქვას, ეს, იქ არავითარი მეურნეობა არ არის. მოიჯარადრეთა საქმედ გამხდარა თითქმის მხოლოდ ის, რომ სახნავი მიწები გლეხებზე გასცენ და საიჯარო აილონ. ერთად ერთი, რაც მოსახსენებელია, არის საფუტკრე, რომელიც მართალია კარგად არის დაყენებული, რიგიან მეურნეობის წესზე. სხვა სამეურნეო დარგებს თითქმის არავითარი გაუმჯობესება არ ატყვია. 18 დესეტინა ვენახი, ეს მთავარი და ძლიერი ძარღვი საგურამოს მამულისა, ფილოქსერისაგან განადგურებულია, ხეხილი დაავადმყოფებული და გავერანებული, ინვენტარი თითქმის აღარ არის.

ასეთ პირობებში ძნელი იყო მოიჯარადრეებს თავისი პირობები და ვალდებულებანი საზოგადოების წინაშე სავსებით აესრულებინათ. სამწუხაროდ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი მათგანი გაუმჯობესების მაგიერ უფრო აფუჭებდნენ და ავერანებდნენ მამულს. კეთილსინიდისიერნი კი უსახსრობის გამო ვერას ხდებოდნენ და მამული იმათ ხელშიც ფუჭდებოდა. საზოგადოებამ დიდი სააპეკუნო მამული ილიას მეუღლისა მიაშველა მამულს და მხოლოდ ამით შესძლო ბანკის ვალის სარგებლისა და სხვა ხარჯების გასტუმრება, თორემ თვით მამული ისეთ ყოფაში ჩავარდა, რომ საზოგადოება იძულებული იქნებოდა იმისთვის სრულებით დაენებებინა თავი.

უკანასკნელ წლებში მამულის ვითარება შემდეგია: 112 წლიდან საზოგადოების მამული და სააპეკუნო იჯარით ჩაიბარა ნაკაშიძეს და მალალაშვილს. პირობის ძალით მოიჯარადრენი ვალდებულნი იყვნენ წ.-კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ ეხადათ ყოველ წლიურად საიჯარო, ორთავე მამულისა—2.700 მანეთი: საკუთარი მამულისა—1300 მანეთი., ხოლო სააპეკუნო—1400 მანეთი.

1914 წ. 1 იანვარს მოიჯარადრეებზე ითვლებოდა ძველი წლის გადაუხდელი 2.024 მანეთი 24 კაპ., გამგეობამ თანახმად მამულის გამგის ალ. ყიფშიძის მოხსენებისა, შესაძლებლად სცნო შეღავათი მიეცა მოიჯარადრეთათვის და ძველი წლის ვალი შეემცირებინა 1.000 მანეთით, ხოლო საიჯარო ფული კი—500 მანეთით საიჯარო ვადის გასვლამდე. ასე რომ 1914 წლის 1 იანვრიდან 1917 წლის 1 იანვრამდე უნდა ეხადათ მოიჯარადრეებს წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ საიჯარო 2,200 მანეთი, ხოლო ძველის წლის დარჩენილი ვალიდან გადაეხადათ 1.024 მანეთი. 1915 წლ. 1 იანვრამდე მოიჯარადრეებს უნდა შემოეტანათ 3.224 მანეთი 34 კაპ. 1914 წლის განმავლობაში შემოიტანეს 1.25 მანეთი, დარჩა გადაუხდელი 1.999 მანეთი 34 კაპ. ამ ფულიდან 1915 წლის განმავლობაში გადაიხადეს 525 მან. ამ ჟამად ითვლება მოიჯარადრეებზე ვალად 1.474 მან. 34 კაპ.

„პირობის ძალით მოიჯარადრენი ვალდებულნი იყვნენ გაეშენებინათ საზოგადოების საკუთარ მამულში საიჯარო ვადის განმავლობაში 9 დესეტინა დამყნილი ამერიკული ვაზი, წელიწადში თითო დესეტინა, სამი დესეტინა ხეხილის ბაღი; საჭიროების დროს შეაკეთონ ხოლმე სახლის სახურავ კედლები, იატაკი, ფანჯრები, აუზი, წყალსადენი და სხვა. ტყით სარგებლობა განისაზღვრება მხოლოდ მეურნეობისთვის საჭირო შეშის, წკნელის და სარის გამოტანით".

„წარსულ წელს საზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას, სპეციალისტთა დახმარებით, გამოერკვია საგურამოს მამულის მდგომარეობა და თავისი დასკვნა მოეხსენებიან საზოგადო კრებისათვის. გამგეობამ აირჩია 5 პირისაგან კომისია, რომელშიაც შედიან გამგეობის წევრნი გ. ლასხიშვილი გ. ცინცაძე, ალ. ყიფშიძე, სვ. ხუნდაძე, სვ. ვახვახიშვილი და დაავალა მას მამულის დათვალიერება და მისი მდგომარეობის ყოველ მხრივ გამორკვევა".

28 და 29 ივლისს ხსენებული კომისიის წევრებმა სვ. ხუნდაძემ, სვ. ვახვახიშვილმა, გამგეობის წევრმა გ. ლასხიშვილმა, გ. ცინცაძემ, საზოგადოების საქმის მწარმოებელმა ვ. ბურჯანაძემ, სკოლების მეთვალყურემ გრ. ბურჭულაძემ, წინამძღვარიანთ კარის ყოფილმა მღვდელმა ჯალიაშვილმა და ვლ. ცაგარელმა დაათვალიერეს ხსენებული მამული და ადგილობრივ გამოიკვლიეს მისი მდგომარეობა.

„გამოკვლევამ შემდეგი აღმოაჩინა: 1. ერთს მოიჯარათაგანს, კ. ნაკაშიძეს თავი დაუნებებია მამულისათვის და სახელმწიფო სამსახურში გადასულა. 2. სამი წლის განმავლობაში მოიჯარადრეებს გაუშენებიათ მხოლოდ 1 დესეტინა დამყნილი ამერიკული ვაზი. ვაზი დამყნილია ერთმანეთზე 3 არშინის დაშორებით, რიგს შუა გაკეთებულია საჩქოლე ამერიკული ვაზისა, რომელშიაც მოთავსებულია გასასყიდად დამზადებული 50,000 ცალი სანერგე ნამყენი ვაზი ადგილობრივი ჯიშისა. 3. ვენახებისთვის წელს არც გოგირდით და არც შაბიამანით ნაცრისა და ჭრაქის წინააღმდეგ არ უექიმნიათ, რის გამო ვენახს საგრძნობელი ზიანი მიჰყენებია. 4. ძველი ვენახი, რომელსაც კიდევ შეუძლიან მცირე შემოსავლის მოცემა, თითქმის უყურადღებოდ არის დატოვებული. 5. სახლის და საზოგადოდ მამულის შენობათა შეკეთების საქმეს ნაკლები ყურადღება აქვთ მიქცეული მოიჯარადრეთა მხრივ. 6. საფუტკრე, სამაგიეროდ, კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. მოიჯარადრეებს ჰყავთ ამჟამად 100 სკა, რომელსაც შეუძლია საშუალო რიცხვით წელიწადში არა ნაკლებ 600 მანეთის მიცემისა. პირობის შეუსრულებლობას მოიჯარადრე აწერს იმ გარემოებას, რომ მამულს შემოსავალი ძალიან მცირე აქვს. შემოსავალმა თვალსაჩინოდ და საგრძნობლად იკლო ფილოქსერისაგან ვენახების განადგურების შემდეგ.

„მოიჯარადრემ განაცხადა შემდეგი: I. იგი იკისრებს პირობაში აღნიშნულ ყველა მუხლების სისრულეში მოყვანას ე. ი. ა) გააშენებს ყოველ წელიწადს თითო დესეტინას დამყნილ ამერიკულ ვაზს, ბ) გააშენებს სამ დესეტინა ხეხილის ბაღს, გ) გააშენებს სკას და საიჯარო ვადის გასვლისას ჩააბარებს საზოგადოებას საკუთრებად 141 ძირ სკას, დ) საჭიროების დროს შეაკეთებს ხოლმე სახლს, ეზოში არსებულ ყველა შენობებს, წყალსადენს, აუზს და სხვას, თუ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა შეუმცირებს მას საიჯარო გადასახადს წელიწადში ათასი მანეთით, ე. ი. ნაცვლად 2,200 მანეთისა გადაიხდევინებს 1915 წლის 1 იანვრიდან 1.200 მანეთს და ძველი წლის დარჩენილ საიჯარო გადასახადიდან, რაც შეადგენს ამჟამად 1.474 მან. 34 კაპ. მოუჭრის 1000 მანეთს.

„კომისიამ ერთხმად აღიარა, რომ დღევანდელს პირობებში მამულს მართალია არ შეუძლიან პირნათლად შესრულებინოს ვალდებულებანი საიჯარო ხელშეკრულობისა მოიჯარადრეს, რომელსაც საკუთარი თანხა არა აქვს, და ხანგრძლივი კამათის შემდეგ მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. განისაზღვროს საიჯარო გადასახადი 1.500 მანეთით წელიწადში, იმ პირობით, რომ მოიჯარადრე მამულისა ვალდებული იყოს გააკეთოს ყოველ წლივ ერთი დესეტინა დამყნილი ამერიკული ვაზი.

2. პირობა შეეკრას 7 წლის ვადით. პირველ 4 წლის განმავლობაში საიჯარო გადასახადის რაოდენობა იქნეს 1.500 მანეთი, ხოლო 4 წლის შემდეგ 2.000 მანეთი.

4. ეთხოვოს გამგეობას მოახსენოს საზოგადო კრებას კომისიის აზრი. აღძრას შუამდგომლობა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინაშე მისცეს საზოგადოებას სესხად საჭირო თანხა მამულის გასაშენებლად.

5. აღინიშნოს პირობაში, რომ მოიჯარადრე ვალდებულია გააშენოს ნასესხები ფულით ბაღი, ვენახი და საზოგადოდ მიიღოს თავზე შრომა, რომლის ჯილდოდ მიეცემა განსაზღვრული ფული.

ზემოაღნიშნული განსაკუთრებული კომისიის მოხსენება განიხილა მიმდინარე წლის 21 ივლისს გამგეობის მორიგ კრებამ და დაადგინა: 1. აღებულ იქმნას იჯარით სააპეკუნო მამული კიდევ ხუთი წლის ვადით. 2. ეთხოვოს სადგილ-მამულო ბანკს, სესხის ვადის გაგრძელება. 3. ეთხოვოს ქართულ სამეურნეო საზოგადოების გამგეობას შეადგინოს დაწვრილებითი გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა საგურამოს მამულის მოვლა-პატრონობისა და გაუმჯობესების შესახებ. 4. მოიჯარადრე მალალაშვილმა 1915 წლის განმავლობაში უნდა შემოიტანოს საიჯარო გადასახადი 1.500 მანეთი, ხოლო მასზე დარჩენილი 1.474 მანეთიდან ეპატიოს 1000 მანეთი; დანარჩენი 474 მან. უნდა გადაიხადოს ამ წლის განმავლობაში. ეს შეღავათი მიეცეს მალალაშვილს იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი პირობისამებრ წელსავე ერთს დესეტინა ვენახს გააშენებს.

„გამგეობის დადგენილებისა და თხოვნის თანახმად ქართულ სამეურნეო საზოგადოების გამგეობამ იკისრა საგურამოს მამულის შესწავლა და დაწვრილებითი სამეურნეო გეგმის შემუშავება. ამისათვის მან აირჩია აგრონომებისაგან შემდგარი კომისია, რომელშიაც შევიდნენ ბ.ბ. ყაზახიშვილი, ვ. რცხილაძე და პ. მელია. ამათგან შემუშავებული და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისაგან დამტკიცებული სამეურნეო გეგმა ორ გზას გვიჩვენებს ილიასეული მამულის შენარჩუნებისა და რამდენადმე შემოსავლიან მამულად გადაქცევისათვის.

პირველი, თვით ჩვენმა საზოგადოებამ გაუწიოს პატრონობა დაქირავებულ პირთა საშუალებით. ამ შემთხვევაში უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმით, რომ ოთხის წლის შემდეგ მამულის შემოსავალი დაჰფარავს გასავალს და გაუძლევება ბანკის ვალს; შეიძლება კიდევ რამდენსამე წლის შემდეგ, დაახლოვებით კიდევ 4 წლის შემდეგ, სულ მცირე შემოსავალიც იქნეს. ამ გეგმის განსახორციელებლად სამეურნეო საზოგადოების მოხსენება საჭიროდ სთვლის ყოველ წლიურ ხარჯს 8.000 მანეთს. ასე რომ სამი წლის განმავლობაში იმ დრომდე, სანამ მამული თვითონ დაჰფარავდეს ხარჯს, საზოგადოებამ უნდა გასწიოს 24 ათას მანეთზე მეტი ხარჯი, შემოსავალი კი სულ ექნება ამ დროს განმავლობაში 6.410 მან, ე. ი. ჩვენი დეფიციტი იქნება 18 ათას მანეთამდე. მეორე გზა, რომელსაც გვიჩვენებს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გეგმა, არის მამულის იჯარით გაცემა საკმაოდ გრძელის ვადით, არა ნაკლებ 12 წლისა. ამ შემთხვევაშიაც საზოგადოებამ თვითონ უნდა დახარჯოს 8 ათასი მანეთი მამულის დასამზადებლად მოიჯარადრეთა ექსპლოატაციისათვის (პლანტაჟი, 10 დესეტინა ვენახი, 1.600 ორმოს ამოთხრა ხეხილისათვის და სხ.) მოიჯარადრეები სამის წლის განმავლობაში არაფერს იხდიან; მეოთხე წელიწადს გადიხდიან 1.500 მანეთს, მეხუთეს და მეექვსე—2.000 მანეთს.

„როგორც ირკვევა, ორივე გზა ჩვენი საზოგადოებისაგან მოითხოვს მსხვერპლს; კიდევ და კიდევ უნდა დავხარჯოთ მამულზე ფული, ვიკისროთ ვალი და თან სრული რწმენა მაინც არ გვექნება, რომ ოდესმე ვალებსაც გავისტუმრებთ და დანახარჯსაც ავინაზღაურებთ. დღეისთვის ამ მამულს უწევს—28,500 მანეთი ვალი; თუ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გამგეობის გეგმის ასრულება დავაპირეთ, მაშინ ჩვენს ვალს კიდევ უნდა მივუმატოთ 20 ათასზე მეტი და უკეთეს შემთხვევაში უნდა ველოდოთ, რომ 9—12 წლის შემდეგ იქნება გვექნეს სამას თუმნამდე შემოსავალი. ვამბობთ „უკეთეს შემთხვევაში", რადგან უფრო მოსალოდნელია, რომ ჩვენი საზოგადოება ვერ შეიქმნება კარგ პატრონად, სოფლის მამულის კარგ მომვლელ-მესაკუთრედ. იგი იძულებული იქნება ისევ ძველი გზით იაროს, აძლიოს მამული საექსპლუატაციოდ მცირე მოიჯარადრეთ, რომელნიც არა თუ ვერ შესძლებენ მამულის გაუმჯობესებას, სულ უარეს და უარეს მდგომარეობაში ჩააყენებენ მას.

წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ მას არ შეუძლიან უპატრონო სოფლის მამულს, რომ უმჯობესია საგურამოს მამული გაყიდოს. მაგრამ საზოგადოება ამის წინააღმდეგი იყო უფრო მორალურ მოსაზრებითა [illegible] სახელით პატივსაცემი [illegible] მისი მამულის მოშორება. სამწუხაროდ ხანგრძლივმა უნაყოფო ცდა გვეუბნება, რომ მამულს ვერ მოუვლით და ილიას სახელის პატივსაცემლად მას ვერ გამოვიყენებთ ამა თუ იმ კულტურულ მიზნისთვის. ამიტომ გამგეობა ჰფიქრობს, უმჯობესი იქნება მამული გაიყიდოს, თუ, რასაკვირველია, იმ ფასში გავყიდით, რომ ვალიც გავისტუმროთ და თანხაც გადაგვრჩეს. მაშინ იმ თანხით შევიძლიან თბილისის ილიასეული სახლი მაინც გადავაკეთოთ და იმის სახელით მის სახლში რაიმე კულტურული საქმე მოვაწყოთ. სხვა გზას გამგეობა ვერ ხედავს და ისევ მოგმართავთ შუამდგომლობით, პრინციპიალურად ნება დართოთ გამგეობას იზრუნოს საგურამოს მამულის გაყიდვისათვის".

(დასასრული იქნება)

გაზეთ „საქართველო"-ზე

1916 წლისათვის ხელის მოწერა

ამ დღეებში გამოცხადდება

## ანაკრეონის ოდები

(დასასრული)

„ჩანგი" ანაკრეონისა მის ოდების ერთგვარი ინტროდუქცია გახლავთ, შესავალი. აქედან მკითხველი გაიგებს, რომ ანაკრეონი ღვინისა, ღვინის და სიყვარულის მგოსანი გახლავთ. ამ მხრივ საოცარია, რომ თითქმის სამი ათასი წლის შემდეგ მან ღირსეული მოწაფე იშოვნა ჩვენს ალექსანდრე ჭავჭავაძეში. ანაკრეონიც, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, თანაბარის კალოთი აქებს ბახუსსაც და ვენერასაც. როგორც ძნელია იმისი გამოცნობა, თუ ჭავჭავაძე ამ ორში რომელს უფრო აძლევდა უპირატესობას, ისევე ძნელია გამოიცნოთ ანაკრეონის ქანდაკებაზე მიშტერებულ თვალების ობიექტი, რაიც სივრცეში ბახუსისა და ვენერის სახით მონარნარეს.

როგორც თითქმის ყველა დიდებულ ადამიანის ბედი, ანაკრეონისაც ბუნდოვანობით არის მოცული. სად დაიბადა, ვინ იყო, დანამდვილებით არავინ იცის. მრავალი ქალაქი ერთმანეთს ეცილება მის მითვისებაში. ლეგენდები კი რამდენიც გსურთ, იმდენი არის. ამ მრავალთა შორის საბიოგრაფიოდ ამოვარჩევთ ერთს, რომელიც სინამდვილეს რამდენადმე მაინც უნდა უახლოვდებოდეს.

მის შესახებ პირველ ცნობებს გვაძლევს ჰეროდოტე. მისი სიტყვით ანაკრეონი დაიბადა ქალაქ თეოსში 560 წ. ქრისტ. დაბადებამდე. ნათქვამია, თუ გსურს მისი პიროვნება გაიცნო, საჭიროა მისი სამშობლო ქვეყანა გაიცნოთო. და ჰეროდოტეც გვაცნობს ამ ქალაქის რაობას. მისი სიტყვით, თეოსი ერთი უმშვენიერესი ქალაქთაგანია „მე არ ვიცი მაზე უკეკლუცესი, ლაჟვარდი, მხიარული და ფერადი სასამო სანახავი ქალაქი, როგორც თეოსიაო". თქმა არ უნდა, ყველა ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს, როდესაც დავიწყებთ ანაკრეონის დღიმანდულ ბუნების შესწავლას.

ანაკრეონს ბედმა არ აკმარა, რომ ერთს სილამაზის აკვანში დაარწია, წამოიზარდა და მალე მფარველობა იშოვნა სამოსელ ტირან პოლიკრატეს სახით. პოლიკრატე რამდენადაც კარგი მებრძოლი იყო, იმდენადვე ბახუსის მოტრფიალე. ისე მოეწყო, თითქოს განგებ სწორმა სწორი იპოვა, ტირანმა პოეზიისა და ტირანი სისხლიან მახვილით ხელში ერთად მღერიან, ერთად იკლავენ ვნების ჟინსა.

თეოსიდან სამოსში გადასახლება და პოლიკრატეს სასახლეში საუკეთესო ხანაა ანაკრეონის ცხოვრებაში. მას არას დაგიდევს, თუ ამ დროს მისი სამშობლო განსაცდელშია, მტრისგან გარშემორტყმული. იგი მეტის მეტად მიწიერი მგოსანი გახლდათ, რომელიც მიწას მიწის თვალსაზრისით ჰზომავდა. მისთვის არავითარი პოლიტიკა არ არსებობდა გარდა სიყვარულისა და ღვინის პოლიტიკისა, თუ შეიძლება ასე ითქვას მის მთვრალულ მელოდიების შესახებ. ახლა დაუმატეთ ისიც, რომ ტირანი პოლიკრატე მისი ფარი ადამიანი იყო და მაშინ არ გაგიკვირდებათ, თუ კუნძული სამოსი მისი წყალობით რატომ გარდიქცა ვნების აკვნად, რომლის ზვირთთა თამაში იონიის ლაჟვარდ ზვირთთა თამაშს გადააჭარბა დაუშრეტელი შადრევნების შხეფვით. დიახაც, ბედნიერი იყო ამ დროინდელი სამოსი, იგი თვით დიდ ათინასაც შურს უძრავდა.

ტირანს თავი მოჰქონდა გამარჯვებით. სამოსი შეურყეველი სალ[illegible] საფარი ეგონა და მიტომაც ასერიგად შეუდგა მის გამშვენიერებას. მა-

მისმა მზრუნველობამ კუნძული იგი ბაბილონელ ქალს დაამსგავსა. მისი ვნებიანი სიტურფე ახლა აზიიდან და ჰელლადიდან იზიდავდა ახალ-ახალს სტუმრებს. იმართებოდა წარმოდგენები, სხვადასხვა გვარი სეირნობა, პანტომიმა შავ ტევრა დალალიან ბერძენ ქალებისა, ვნების სააპოთეოზო კოცონს ანთებდა. ჰეროდოტეს მოწყობით ამ სცენებს ხელმძღვანელობდა ანაკრეონი. პოლიკრატეს ამ დროს იგი ისევე განუყრელად ჰყავდა გვერდით, როგორც საუკეთესო მხედრები ბრძოლის ველზედ.

ანაკრეონი ხორციელ სიტურფის ქურუმია. ქალთა სიკეკლუცეს იგი ხშირად ბნედამდისაც კი მიჰყავს. ამ დროს მისი ჩანგი არა სცნობს ღმერთებს, არა სცნობს გმირებს, თვით ჰერკულესიც კი დამარხულია. სილამაზე, ვნება, აი რა! ვნებათა მოკვლა,—აი რას ითხოვს მისი ჩანგი. ქალს აღმერთებს იგი, მაგრამ იმავე დროს, ჰეროდოტეს მოწმობით, ანაკრეონი ამურად ჰსახავს პატარა ბიჭებს, ხშირად მათი ხუჭუჭა თმა, კუპიდონისებური ცქრიალი კეკლუც ქალის მიმზიდველობას სჩრდილავს და არას იშურებს, რათა მათ ეალერსოს, სარეცელი გაუზიაროს. საოცარია, რომ ანაკრეონი თვით მოხუცების ჟამსაც კი იგი ჭაბუკის ცეცხლით იწვის. არაა მის ცხოვრებაში ერთი წუთიც კი, როდესაც მას სიამისთვის და ხორციელ სიტკბოებისთვის ხელი ეკრა. თუ ტერპსიხორიას ვისთვისმე წყალობა არ დაუშურებია და მარადიულ სიჭაბუკის საიდუმლოება გაუმჟღავნებია, ამ მხრივ შეგვიძლიან ანაკრეონზე მივუთითოთ: ასეთი ბედნიერი მხოლოდ ის იყო, დაუბერებელი, ნორჩი, მარად სიცოცხლით სავსე, სიცოცხლესთან მოსცეკვს ვნებით ავსებულ ბროლის თასით.

მაგრამ რომელი ბედნიერებაა დაუსრულებელი? მარადიული არ იყო ანაკრეონის კეთილდღეობაც. უკვე მოხუცებაში გადასდგა ფეხი, როდესაც აზიის კარში ახალი ღმერთ-კაცის სახელმა დაიწყო გმინვა. ეს განხლდათ კიროსი. მას არაფრად ესიამოვნებოდა რომ აზიის ყურეში ასეთი პატარა კუნძული ბედნიერების ჯადოსნურ ბუდედ გადაიქცა. ერთი სატრაპთაგანი, სახელად ორონტი, გაჰგზავნა მის დასაპყრობად. ფუფუნებითა და ვნებით დამთვრალი პოლიკრატე ძველებური შორს გამჭრიახი და ღმერთთა მწუნები პოლიკრატე აღარ გახლდათ. იგი სასტიკად მარცხდება, ორონტს ჩაუვარდება ხელში, ხოლო ეს უკანასკნელი გაატყავებს და ჯვარზე გააკრავს.

ლეგენდამ ამ მკაცრ სასჯელს მხოლოდ ანაკრეონი გადაარჩინა. მას თითქმის ყურადღებას არავინ აქცევს. გამარჯვებულნი გაბრუნდნენ. ერთი შეხედვით იფიქრებდა ადამიანი, რომ ანაკრეონი იერემიასებრ გოდებას მოჰყვებოდა ბედნიერების დანგრევისათვის, გამოიტირებდა „კეთილ ტირანს“, რომელმაც ამდენი სიამე შესძლვნა სიცოცხლეში. რა ბრძანებაა! ანაკრეონს ცრემლიც არ დაუღვრია. იგი ნანგრევებზეც საკმაოდ შოულობდა გასართობს, ღვინოს, თითქოს უნდა სთქვას ჩვენებურად, ძველებურად ჰაჭაჭაძის ბახუსის ჰიმნი:

„სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ,
ვახარებ ჩემსა იასა...
მოვკვდები, გაუხარდება
სამარის კარის ჰიასა“...

სამოსის განადგურების ამბავი რომ შეიტყვეს ათინაში, პერიკლესის შვილებმა ჰიპპიას ღ ჰიპარხმა, დაუყოვნებლივ ოქროთი მოვარაყებული და ვარდ-ყვავილებით მორთული ხომალდი აფრინეს მის გადმოსაყვანად. ანაკრეონიც დასთანხმდა, ნამდვილ გამარჯვებულ მხედართმთავრის ტრიუმფი გაუმართეს, რომელშიაც თვით დიდი პერიკლესიც კი მონაწილეობას იღებდა. მალე ათინაშიც გაითქვამს სახელს. ჰიპიასი და ჰიპარხი, მართალია, მამისებურად არ იყვნენ განათლებულნი, მაგრამ აღზრდა კარგი ჰქონდათ და მოხუცის საპატიოდ არას იშურებდნენ. თითქმის ათ წლამდე დაჰყო მათთან, ვიდრე პერიკლესი ცოცხალი იყო, მაგრამ გარდაიცვალა იგი თუ არა, მის შვილებმა ერთად დაიწყეს მართვა ათინისა. ჯერ კარგად მიჰყავდათ საქმე. მაგრამ რაც ჰიპარხი მოკლულ იქმნა ერთი წარჩინებულ პირისაგან, რომლის დაც შეაცდინა მან. მისი მეორე ძმა ჰიპიასი მეტად ეჭვიანი კაცი შეიქმნა, შურისძიების წყურვილმა გაიტაცა და სასახლეში მოსპო განცხრომისა და ქეიფის ხმაურობა. თქმა არ უნდა, ანაკრეონი ვერ შეურიგდებოდა ასეთს ყოფას და უნდა გაქცეულიყო. მართლაც, იგი განშორდა არა თუ მარტო ჰიპიას სასახლეს, არამედ ათენასაც კი.

რა ჰქნა შემდეგში, სად წავიდა? არავინ უწყის. დაბრუნდა სამშობლოში? რამ გაუწია სამოსის მაგიერობა, ამაზე არც ლეგენდა და არც თუ სხვა რამ გარდმოცემა არას გვეუბნება. ვიცით მხოლოდ, რომ მან უკანასკნელ წუთებში ბახუსთან ერთად გაიზიარა სიკვდილის საიდუმლოება და აღტყინებულის ვნებით დამთვრალი, უკვე ღრმად მოხუცებული, მივა და ვაზის წნელით ვაზზე ჩამოიხრჩობს თავს. ამ ამბავს აღნიშნავენ 178 წლის თარიღით. მას აქეთია ქალაქი ქალაქს ედავება, არა მე მაბარია მისი სამარე, არა მეო, მაგრამ ვერც ერთს კანონიერი საბუთი ვერ წამოუყენებია...

კარგია ასე სიკვდილი: დაკარგვა დროსა და სივრცის უბეში ასეთი საიდუმლო გამოცანით უძლრესი ძეგლია დიდბუნებოვან ადამიანთათვის, ვინაიდან აქედან იშობვის და იქსოვების ამომოსასმენი ლეგენდები...

Candide.

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

— დღეს ქუთაისის ქალაქის თეატრში ქართველი სტუდენტობა წარმოადგენს ლ. ანდრეევის ცნობილ პიესას „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

**ზუგდიდი.**

ზუგდიდსა, სენაკსა და სხვა ადგილებში, ყაჩაღობის გახშირების გამო დილიჟნები მთავრობის განკარგულებით ღამ-ღამობით აღარ დადის. გზებზე დიდი უწესოებაა. ყოველ დილიჟანსის სადგურებზე აუარებელი ხალხი სდგას და ხშირად იმართება ცილაობა, ზოგი მგზავრი მედილიჟნეს ზედმეტ ფასს აძლევს, ოღონდ კი წაიყვანოს და მხოლოდ ხელმოკლე ხალხი იძულებულია უმეტეს შემთხვევაში ფეხით და ურმით მგზავრობას მიჰმართოს.

**სოფ. ხორში** (სამეგრელო).

მთავრობამ შეიპყრო აქაური სოფლის მამასახლისი, რომელსაც სამეგრელოში მოთარეშე ყაჩაღთა ამხანაგობას აბრალებენ.

**სოფ. საჯიჭაო** (სამეგრელო).

დატუსაღებულ იქმნენ ამ სოფლის მამასახლის-მწერალიც. მათი ბრალდებაც ყაჩაღობის ხელ-შეწყობით აიხსნება.

**ხანძირევსკი** (შუშის მაზრა)

ხანძირევსკში დიდი შიმშილობა ყოფილა. ეს სოფელი სომხებით არის დასახლებული. შიმშილობას სომხურ გაზეთის შეტყობით ადამიანიც უმსხვერპლია, საკვირველია ამ დროს სომეხ შეძლებულთა გულგრილობა.

**სოფ. ჭაგანი** (იმერეთი)

22 წარსულ გიორგობისთვეს მოხდა ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების „თანამგრძნობის“ კრება. კრებაზე ფეხზე ადგომით პატივი სცეს გარდაცვალებულ დეპუტატის **ჭოლა ლომთათიძის** ხსოვნას. შემდეგ განიხილეს საზოგადოების წესდების მუხლები. აღმოჩნდა, რომ ხალხს საკმაოდ გაუთვალისწინებია კოოპერატიულ დუქნების მნიშვნელობა. კრებამ სხვათა შორის დაადგინა: მოისპოს ნისიათ ვაჭრობა.

**ბ ო რ ჩ ხ ა.**

ბორჩხას გამუდმებით აწუდება მუშა ხალხი.

საერთოდ მუშათა მდგომარეობა უნუგეშო არ არის, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ სამწუხაროდ, რომ აქაური მუშები ჟურნალ-გაზეთებს გულგრილად ეპყრობიან.

**სოფ. ზენათი.** სამეგრელო)

აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც ზენათელებმა სამკითხველოს გახსნის ნებართვა ითხოვეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ნებართვა არ მიუღიათ.

**დ. ახალ-სენაკი.**

სამეგრელოში ყაჩაღთა თარეშის გამო 1, ქრისტეშობისთვეს ახალ-სენაკში მობრძანდა ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი, აქედან წამობრძანდა ძველ-სენაკში და გამოიძია ნოქალაქევის ბოროტმოქმედება. გუბერნატორმა სენაკის მცხოვრებთ წინადადება მისცა, იყოლიონ დარაჯები, რომელთაც იარაღს მთავრობა დაურიგებს.

**სად. კარაკლისი.**

რკინის გზის დაბალი მოსამსახურენი დეპეშით სთხოვენ გზათა მინისტრს და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს, რათა მათ ცხოვრების მეტად გაძვირების გამო, ჯამაგირები მოემატოთ.

## მღვდ. ღერვასი ბარათაშვილის საქმე

ამ რამდენიმე თვის წინად ჩვენს გაზეთში კორესპონდენტმა „ცაცინათელამ“ ცნობა მოათავსა, ვითომც მღვდ. ღერვასი ბარათაშვილს მღვიმევის დედათა მონასტრიდან მონაზონი გაეტაცნოს. ამის შესახებ თვითონ მღვდ. ღერვასი ბარათაშვილმა პროტესტი განგვიცხადა და კორესპონდენტის ვინაობა მოგვთხოვა, სასამართლოში გასაწვევად. ჩვენი რედაქცია დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის ვითარების გამოძიებას. აღმოჩნდა, რომ ამბავი სრულიად სიმართლეს მოკლებულია და უსაფუძვლო, რაზეც რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს და ბოდიშს იხდის უწინარეს ყოვლისა მღვდ. ბარათაშვილის წინაშე და მკითხველ საზოგადოების წინაშე. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვაქვეყნებთ უკანასკნელ დოკუმენტს, რომელიც ჩვენი თხოვნისამებრ გამოგვიგზავნა მ. იოსებ წერეთელმა:

„თქვენი წერილის საპასუხოდ პატივი მაქვს შემდეგი მოგახსენოთ: პირველ ყოვლისა მე, როგორც მღვიმევის დედათა მონასტრის ბლაღოჩინმა, იმ ხმების შესამოწმებლად, რომელიც გაავრცელეს მღვდლის მ. ღერვასი ბარათაშვილის შესახებ, ადგილობრივ გამოვიკვლიე საქმის მდგომარეობა და დავრწმუნდი, რომ ხსენებულ მონასტრიდან მონაზვნის გატაცების ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

შემდეგ თქვენ გაზეთში მოთავსებულ ცნობას ყურადღება მიაქცია იმერეთის ეპისკოპოსმა ყ-დ სამღვდელო გიორგიმ, რომელმაც მიბრძანა საიდუმლო გამოკვლევა მომეხდინა, რაც ჩემ მიერ უკვე შესრულებულ იქმნა და გამოძიებული საქმე კარგა ხანია ჩემმიერ ყ-დ სამღვდელოს წარედგინა. გამოძიების დროს თვისი ხელით ჩავწერეე ჩვენება საჭირო პირებს და მათი ჩვენებიდან გამოირკვა, რომ თქვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობას ნამდვილად ადგილი არ ჰქონია და მ. ღერვასი ბარათაშვილის შესახებ თქვენი გაზეთის მიერ გავრცელებული ხმები სრულიად უსაფუძვლო და მოჭორილი გამოდგა. ცხადია „საქართველოს“ პატივცემული რედაქცია შეცდომაში შეუყვანია კორესპონდენტს.

პატივისცემით

**ბლაღოჩ. იოსებ წერეთელი“.**

**რედაქციისაგან.** თანახმად მღვდელ **ბესარიონ ვაშაძის** თხოვნისა, რედაქცია ამოწმებს, რომ „საქართველო“-ს 102 №-ში მოთავსებული წერილი **„მონოზნის მოტაცება“**, მას არ ეკუთვნის.

## რუსეთი

**სათათბიროს გარშემო.**

სახელმწიფო სათათბიროს ნაციონალისტთა ფრაქციას მსჯელობა ჰქონდა სათათბიროს მოწვევის შესახებ. ფრაქციამ დაადგინა, საბიუჯეტო კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ, სათათბირო დაუყოვნებლივ მოწვეული უნდა იყოს. ამას მოითხოვს საერთო პოლიტიკური მდგომარეობა.

სათათბიროს წრეებში ჰფიქრობენ, პროგრესიულ ბლოკის წარმომადგენელთა თათბირის დროს, აღძრან საკითხი შესახებ იმისა, რომ დაუყოვნებლივ ზომები იქნას მიღებული; რათა სახემწიფო სათათბირომ განიხილოს არა მარტო ბიუჯეტი, როგორც ამას მთავრობა მოითხოვს, არამედ სხვა და სხვა პოლიტიკური კითხვებიც.

**ფინლანდიის სეიმის თავმჯდომარე.**

ფინლანდიის სეიმის ახალგაზდა-ფინთა ფრაქციის წევრმა სთხოვა ფინლანდიის მინისტრს სტატ-სეკრეტარს მარკოვს, აღეძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, ყოფილ სეიმის თავმჯდომარეს სვინხუვუდის სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

**ახალი გადასახადი.**

მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს ახალი კანონპროექტი, მოგებაზედ გადასახადის დაწესების შესახებ. საბჭომ ვერ სცნო ეს კანონი დასაბუთებული და დაადგინა გადასცეს გადასათვალიერებლათ ახალ კომისიას, რომლის თავმჯდომარედ ფინანსთა მინისტრის თანაშემწე იქნება. ასეთი დადგენილება საბჭოსი გამოიწვია ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განცხადებამ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო მინისტრთა საბჭოს, თუ რა ზიანს მიაყენებს რუსეთის მრეწველობას ახალი გადასახადი მოგებაზედ. მინისტრს ის უფრო აშინებს, რომ შესაძლოა ამ კანონმა სრულებით შეაჩეროს აქციონერთა საზოგადოებების დაწყებული აღორძინება. არჩეულ კომისიას დაევალა მიაქციოს ყურადღება სწორედ ამ მხარეს.

**კიდევ საბლერი.**

მკითხველებს ეხსომებათ, რომ სინოდის ობერ-პროკურორად ნამყოფმა საბლერმა ამ რამდენიმე კვირის წინეთ გვარი შეიცვალა. ახლა იგი უკვე დესიატოვსკია. მარტო გვარის გამოცვლით ვერ დაუკმაყოფილებია საბლერს თავისი მამულიშვილური გრძნობათა განცდა და ახლა კიდევ მიუმართავს თხოვნით მამის სახელიც შემიცვალეთო. განსვენებულ მის მამას ერქვა კარლი, ახლა დაერქმევა კარპი.

**ფოსტა გერმანეთის ხელში მყოფ ადგილებში.**

ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო, ვითომც საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე დეპარტამენტი კისრულობდეს წერილების გადაგზავნას იმ ადგილებში, სადაც ეხლა გერმანეთის ჯარი სდგას. ახლა საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე დეპარტამენტი საჯაროდ აცხადებს, რომ მას არ ძალუძს ამ მოვალეობის შესრულება, რადგან გერმანეთის მთავრობამ არ ისურვა წერილების მიღება და დანიშნულებისამებრ გადაცემა; ყველა ის წერილები, რომელიც ახლა მეორე დეპარტამენტის ხელშია, ან კიდევ მას მოუვა, გადაეცემა პეტროგრადის ფოსტას.

**ახალი კანონი მექრთამეობის შესახებ**

სამხედრო, საზღვაო და შინაგან საქმეთა მინისტრებს წარუდგენიათ თავიანთი მოსაზრება იმ კანონ-პროექტის შესხებ, რომელიც წარადგინა 88 სახელმწიფო სათათბიროს წევრმა და შეეხება მექრთამეობას. კანონ-პროექტის შემადგენელთა აზრით, მექრთამეები სასტიკათ უნდა ისჯებოდნენ, მით უმეტეს ისინი, ვინც ჯარისათვის მუშაობს. ყველა მინისტრი თანახმაა კანონ-პროექტის.

## სომეხთა ცხოვრება

**სომხები სპარსეთში.**

თეირანიდან სომხურ გაზეთს ატყობინებენ: ქამადანისა და სულთანაბადის სომეხთა მდგომარეობა დანამდვილებით არავინ იცის. მათს შესახებ ათასგვარი ხმები დადის.

— მალაქრიდან იუწყებიან, რომ იქ შეუპყრიათ რამდენიმე რუსეთის ქვეშევრდომი სომეხი.

— ქამადანიდან და მის მახლობელ ადგილებიდან სომხები ყაზვინში გარბიან, ხოლო თუ მათ ჟლეტას ხელი მიჰყვეს ფიდაიებმა და ქურთებმა, ამერიკის მისიას შეეხიზნებიან.

— ოსმალეთში სომეხთა ამოჟლეტის შესახებ ამ ბოლო ხანს გერმანულს გაზეთებში ხშირ-ხშირად იბეჭდება წერილები.

— ეჩმიაძინში ამ ჟამად სცდილობენ დამშეულ სომხების რაოდენობის და მათ მდგომარეობის დაახლოვებით გამორკვევას.

— ერევანში გამოქცეულ სომეხთა შორის სხვა და სხვა გადამდები სენი ვრცელდება.

— უკანასკნელი დროის სპარსეთის ამბები მეტად აფიქრებს სომხის საზოგადოებას, რადგან შიშობენ, იქაც სომეხთა ჟლეტა არ გაჰმართონ.

## მცირე შენიშვნა

მას აქეთ, რაც საქართველოს ეკლესიის თავისუფლება გაუქმებულად გამოაცხადა რუსის მთავრობამ და ქართველ კათოლიკოზ-პატრიარქის მაგიერ განმგეობა ივერიის სამოციქულო ეკლესიისა ჩაბარდა რუსის ეგზარხოსებს,

იდევნება ჩვენებური თავისებურებაც, სახელდობრ ისა, რომ **ჩვენი ეკლესია სრულს თავისუფლებას აძლევს ნათლობაში რომელიც დედ-მამას მოესურვება ის სახელი დაარქვას მოსანათლავს** და არა უსათუოდ წმიდანების სახელი, როგორც რუსეთის წმიდა მამები ჰფიქრობენ. ქართველთ ეკლესია, თანახმად აღმოსავლეთის ეკლესიისა, წმიდანების სახელს მოსანათლავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს, თუ ეროვნულ სახელით მონათლულმა განიზრახა მღვდელობის ან ბერობის ხარისხის მიღება, ე. ი. სამღვდელოდ შედგომა.

რუსის სამღვდელოების მეცადინეობამ ლამის სრულად მოსპოს ჩვენში ისეთი საყვარელი ეროვნული სახელები, როგორიც არის მაგ. რევაზ, ზაალ, გივი, ოთარ, მანუჩარ, ყარამან, ქალამზე, ნათელა, თინათინ და სხვ. და ვინ იცის იქნებ საბოლოოდ სულ „ივანივანიჩებად“ დაგვნათლოს...

ამ ბოლოს დროს უსასტიკესი მოწერილობა დაეგზავნათ ბლაღოჩინებს რუსეთის საეკლესიო მთავრობისაგან: მღვდლებს უბრძანებენ—არას გზით მოსანათლავებს **არ მისცენ იმისთანა სახელები**, რომელნიც წმიდანების სახელებში არ მოიპოვებიან, ურჩი მღვდლები სასტიკად დაისჯებიანო.

ამ გარემოებამ საგონებელში ჩააგდო ჩვენის ეკლესიის თავისებურობის მოტრფიალენი. ამათში ბ. ახელმა და ცნობილ სპეციალისტმა დეკ. კეკელიძემ თავთავის აზრი გამოსთქვეს გაზეთში, წინააღმდეგ ასეთის უმართებულო განკარგულებისა.

მაგრამ ჩემის მხრით უნდა დავუმატო, რომ ასეთი განკარგულება ერთობ უსაბუთო უარყოფაა, ერთის მხრით თვით მსოფლიო ეკლესიის უფლებათა მეექვსე მსოფლიო კრების კანონებისა, ე. ი. თვით მართლმადიდებლობისა; ხოლო მეორე მხრით ეს განკარგულება ამსხვრევს იმ თითო-ოროლა თავისებურობას საქართველოს ეკლესიისას, რომელიც ჯერ კიდე შერჩენია ჩვენს სამოციქულო ეკლესიას.

მეექვსე მსოფლიო კრება ადასტურებს ქართველ ეკლესიის ჩვეულებას შესახებ არა-წმინდანების სახელების მიცემისა ახალ მონათლულებს და ზვარაკების შეწირვისა და აკანონებს, რომ ნათლულებს ყოველი სახელი მიეცემა გარდა კერპების სახელებისაო; ხოლო შეწირულ ზვარაკების ხორცი ეკლესიაში იკურთხება, მაგრამ ტრაპეზში არ შეიტანებაო.

ვინც ღრმად დაუკვირდება ამ დადგენილებას, ადვილად მიხვდება, თუ რამ გამოიწვია მსოფლიო კრების ასეთი დადგენილება. ცხადია, ბიზანტიის სამღვდელოება იმ დროს ისევე ებრძოდა ჩვენს ეკლესიას, როგორც დღევანდელი სინოდი ახალ-ახალის განკარგულებით, მაგრამ როდესაც ქართველთა მხრით სიმტკიცეს დაინახავს და თავისებურობაზე უარს ვერ ათქმევინებს, იძულებული გახდნენ დათმობის გზას დასდგომოდნენ. კარგი იქნება ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ: რაც უნდა იყოს ივერიის ეკლესია უფროსი ძმაა სლავიანთა ეკლესიაზე...

თ. ჟორდანია.

## შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო!

ეს ერთი ხანია თქვენს პატივცემულ გაზეთში, აგრეთვე სხვა გაზეთებშიაც გულსაკვლელ ამბებს ვკითხულობთ მგოსნის იროდიონ ევდოშვილის შესახებ. მასთან თვალ-ყურს ვადევნებ ამავე გაზეთებს და გამოცემებს და გულის ფანცქალით ველოდები ამოვიკითხო ის ზომები, რა ზომებიც საჭირო არის ქართველობამ მიიღოს თავის საყვარელ მგოსნის საშველად.

სამწუხაროდ ვერაფერს გულის დასამშვიდებელს ვერ ვკითხულობ, თუ არ ჩავსთვლით იმ მცირე წვლილს, რომელიც პატივცემულმა თქვენმა რედაქციამ შესთავაზა. ნუთუ ამით განისაზღვრება ქართველებისაგან მგოსნისადმი გულშემატკივრობა? ვერ დავიჯერებ. ან რა დასაჯერებელია, როცა ჩემის თვალით მინახავს: რომელიმე მგოსნის გასვენებაზე რამოდენიმე ათასი ქართველობა მისდევს კუბოს და ძვირფასი გვირგვინებით ამკობს მის არაფრის მთხოველ გაციებულ გვამს.

ასე მოხდა ალექსანდრე ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას გასვენებაზე, ე. ი. პირველ და უკანასკნელ მგოსანთა დასაფლავებაზე და დარწმუნებული ვარ, რომ ეს შედეგი მოსდევს ევდოშვილის და შიო მღვიმელის მდგომარეობასაც.

ბატონებო! გამოვფხიზლდეთ და ჩვენს გაჭირვებულ მესაიდუმლეთ წამლად დავედოთ. რა იქნება თვეში ერთი დღით შევამოკლოთ კლუბებში ვახშმობა. ამნაირად კლუბში დაზოგვილი ფული ყოველ თვე ევდოშვილის სიცოცხლეს მოვახმაროთ. მე არც კლუბებში ვსჭამ ვახშამს და არც სახლში და არცა მაქვს ამის შეძლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქვე წარმოვადგენ 2 მანეთს და აღვსთქვამ, რომ ყოველ თვეში შემოვიტანო თქვენს რედაქციაში ორი მანეთი ევდოშვილის სასარგებლოდ, მგოსნის სრულიად განკურნებამდე.

**იოსებ ფანცულაია.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 | ს. | 54 | წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 | ს. | 55 | წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.). | 7 | ს. | 41 | წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 | ს. | 51 | წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 | ს. | 53 | წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 | ს. | 25 | წ. | დილ. |
| | „ საღ. | 10 | ს. | 28 | წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 | ს. | 45 | წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . | 7 | ს. | 3 | წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 | ს. | 8 | წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 | ს. | 53 | წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 | ს. | 23 | წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 | ს. | 29 | წ. | დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა ღ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |
| თბილისში ჩამოდის 5 საათზე. | |

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

# „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: **Тифлисъ**, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

წ ი გ ნ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. მეგვინეთუხუცესი

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.